ეროვნული უნივერსიტეტი

85

25 დეკემბერი, სამშაბათი, 2012 წ. №15

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გია დვალის საახალწლო სურვილი გაზეთის რედაქციას

უნივერსიტეტების ბეჭდვითი ორგანოს თავისუფლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აკადემიური თავისუფლება. ბეჭდვითი სიტყვა ერთნაირად თავისუფალი უნდა იყოს წნეხისგან როგორც უნივერსიტეტის კედლებს შიგნით, ასევე მის კედლებს გარეთ. უნივერსიტეტის გაზეთის ერთ-ერთი განსაკუთრებული მისია არის ის, რომ ის აკეთებს აკადემიური აზრის მედიაციას გარეშე საზოგადოებასთან.

ვუსურვებ თქვენს გაზეთს ამ იდეის მსახურებას!



გაზეთის რედაქცია 85 წლისთავის აღსანიშნად ემზადება — გვ. 10

ახალ წელზე ორიენტირებული იმედები — გვ. 7

ახალ რეალობაში პროფესურას სასიკეთო ცვლილებების მოლოდინი აქვს — გვ. 9

რა ცვლილებებს ელიან სტუდენტები უმაღლესი განათლების სფეროში — გვ. 10

საბჭოთა წარსულში „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტების“ ნათელი აწმყო და მომავალი — გვ. 11

რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით — გვ. 2

როგორია ფსიქოლოგების „რეცეპტი“ საახალწლოდ კარგი განწყობის შესაქმნელად — გვ. 7

კანონი რასაც აგვიკრძალავს, იმაში არ ჩავერევით!

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან დავით ზურაბიშვილთან

გვ. 3

უნდა გაუქმდეს რეგენტთა საბჭო და შეიცვალოს უნივერსიტეტის ზედამხედველობის მექანიზმიც

ინტერვიუ განათლების, მეცნიერების და რეგიონული განვითარების ექსპერტთან, თამარ ზაალიშვილთან

გვ. 4

გია დვალი: მითი შეიძლება იყოს უსასრულო რაოდენობის, ხოლო სიმართლე მუდამ ერთია

გვ. 6

დაბრუნდებიან თუ არა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები საქართველოში?

გვ. 3

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით

21 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდა, რომლის მიხედვით ფაკულტეტის საბჭომ გამარჯვებული კანდიდატი — რეზო ჯორბენაძე გამოავლინა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ შედეგებზე საუბარი ნაადრევია.

რატომ გახდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება გადასამოწმებელი და რა „განაჩენს გამოიტანს“ უნივერსიტეტის უმაღლესი ორგანო — უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, მანამდე კი თვალი გადავავლოთ — რა ბატალიები უძღვოდა წინ არჩევნებს.


რეზო ჯორბენაძე

ანდრო ბარნოვი

ლელა გაფრინდაშვილი

შურთხია ბეროშვილი

საარჩევნო მარათონი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც კანდიდატების ვინაობა გახდა ცნობილი. №97/2012 დადგენილების საფუძველზე დეკანის თანამდებობის დასაკავებლად თავიანთი კანდიდატურები წარადგინეს და საბუთები შემოიტანეს დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრო ბარნოვმა, დეკანის მოადგილემ რეზო ჯორბენაძემ და პროფესორმა ლელა გაფრინდაშვილმა. მათ თავიანთი ხედვა და მოტივაცია კონცეფციებში ჩამოაყალიბეს და განსახილველად უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინეს.

13 დეკემბერს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. სხდომას 12-იდან 7 წევრი ესწრებოდა. არჩევნებში მონაწილეთა კონცეფციების განხილვის შემდეგ ანდრო ბარნოვის კანდიდატურას საბჭოს ოთხმა წევრმა მხარი არ დაუჭირა. ამ ფაქტმა სტუდენტებში და აკადემიურ პერსონალში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „აკადემიური საბჭოს მხრიდან მიგვაჩნია სრულიად გაუმართლებელ მცდელობად, ხელოვნურად დაბლოკოს დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი. აკადემიური საბჭოს ასეთი გადაწყვეტილების პირობას ქმნის დეკანობის კანდიდატთან წინასწარ გასაუბრების ჩვენთვის აქამდე გაუგებარი და მიუღებელი საუნივერსიტეტო რეგულაციის არსებობა, რომელიც, ცხადია, არ უნდა გამოიყენებოდეს რომელიმე რეალური კანდიდატის დასაბლოკად სათანადო დასაბუთების გარეშე“, — წერია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წერილში, რომელიც გაეგზავნა რექტორს და რომელსაც ხელს აწერენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი.

მიუხედავად წინასაარჩევნო პერიოდში აკადემიური პერსონალისგან და სტუდენტებისგან გამოთქმული არაერთი განსხვავებული პოზიციისა საგანგებოდ მოწვეულ ფაკულტეტის საბჭოსა თუ სხვა შეხვედრებზე, მიუხედავად დეკანობის მსურველ კანდიდატურებზე რადიკალურად საპირისპირო მოსაზრებებისა, 21 დეკემბერს დეკანის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ორმა კანდიდატმა: რეზო ჯორბენაძემ და ლელა გაფრინდაშვილმა. ფაკულტეტის საბჭოს 35 წევრიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 11-მა პროფესორმა და თსუ-ის თვითმმართველობის 7-მა სტუდენტმა. კვორუმი საკმაოდ გვიან შეიკრიბა, მაგრამ პროცედურა მალევე დამთავრდა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ნინო დურგლიშვილმა შედეგები გამოაცხადა: რეზო ჯორბენაძემ ხმათა უმრავლესობა მიიღო — მას საბჭოს 16-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ერთი ბიულეტენი გაბათილდა, ლელა გაფრინდაშვილმა კი მხოლოდ ერთი ხმა მოიპოვა. სხდომის თავმჯდომარემ რევაზ გაჩეჩილაძემ და კომისიის თავმჯდომარემ თამარ დოლბაიამ არჩევნები ლეგიტიმურად გამოაცხადეს და საბჭოს წევრებთან ერთად რეზო ჯორბენაძეს გამარჯვება მიულოცეს. თუმცა, ფონდ „ღია საზოგადოების“ ექსპერტმა, იურისტმა დავით მახვილაძემ გადაწყვეტილება გააპროტესტა და დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭოს დებულების მეშვიდე მუხლის მიხედვით რეზო ჯორბენაძეს არჩევნებში გასამარჯვებლად 18-იდან 18-ივე ხმა ესაჭიროებოდა. ეს განცხადება საბჭოს წევრებმა გააპროტესტეს და აღნიშნეს, რომ ეს წესი დაახლოებით ორი თვის წინ შეიცვალა.

„არჩევნები ჩატარებულად ითვლება, რადგან კანდიდატს ხმა დაუჭირა სიითმა უმრავლესობამ, რაც ახალ დებულებაშია გათვალისწინებული. ამის შესახებ საბჭომ უკვე იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ, იგივე აზრი გაიზიარეს ფაკულტეტის საბჭოს დანარჩენმა წევრებმაც.

აკადემიური საბჭოს წევრის მარიკა გერსამიას თქმით, „საარჩევნო კომისიამ გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება, გამოაცხადა ეს გადაწყვეტილება, რაც, შესაბამისად, წარედგინება რექტორს“.

არჩევნების შედეგები გააპროტესტა ანდრო ბარნოვმა. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ საბჭოს წევრთა უმეტესობამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, დამაფიქრებელია. „მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტმა მოახერხა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, იმდენად დიდი იყო აღშფოთება პროფესორებს შორის. სამწუხაროდ, ცენტრალურმა ადმინისტრაციამ მოახერხა, რომ თვითმმართველობის გზით კვორუმი შეედგინა. ამას სჭირდება ფართო მსჯელობა და საჭიროა შეიქმნას პირობები, რომ მთელმა ფაკულტეტმა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. ჩემი კონტრაქტი 16 თებერვლამდე გრძელდება, ამიტომ მშვიდად მოვემზადებით ახალი არჩევნებისთვის. ფაკულტეტმა უნდა შეცვალოს დებულება, რომელიც მანიპულაციის საფუძველს იძლევა“, — განაცხადა ანდრო ბარნოვმა ჟურნალისტებთან საუბარში და აღნიშნა, რომ სარჩელი უკვე შეიტანა სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ მესამე კანდიდატი — ლელა გაფრინდაშვილი არჩევნების შედეგებს აღიარებს, თუმცა თვლის, რომ მისი დამარცხება რამდენიმე გარემოებით იყო განპირობებული. „ამას ვერ დავარქმევთ არჩევნებს, თუნდაც იმიტომ, რომ კანდიდატები არათანაბარ პირობებში ვიმყოფებოდით, არჩევანი კეთდებოდა თავიდანვე არა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის მიხედვით, არამედ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამდენად, ვთვლი, რომ ეს არ იყო სამართლიანი წინასაარჩევნო პროცესი. ჩემგან განსხვავებით, დანარჩენ ორ კანდიდატს საშუალება ჰქონდა საბჭოს წევრებთან კომუნიკაციისა და გარკვეული გარანტიებიც თავიანთი მხარდამჭერებისგან. მე არ მომეცა საშუალება, რომ სტუდენტებისა და პროფესორების წინაშე ჩემი კონცეფცია წარმედგინა“, — განაცხადა ლელა გაფრინდაშვილმა.

რაც შეეხება გამარჯვებულ კანდიდატს, რეზო ჯორბენაძეს, მას მიაჩნია, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება სამართლიანია და მან ამ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. „მიმაჩნია, რომ არჩევნები სამართლიანად, წესების სრული დაცვით ჩატარდა. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში პირველ რიგში გარკვეულ ადმინისტრაციულ ცვლილებებს ვგეგმავ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მომსახურებას. ჩემს კონცეფციაში დასმულ საკითხებსაც თანმიმდევრულად განვახორციელებ“, — აცხადებს რეზო ჯორბენაძე.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს უკვე წარუდგინა გადაწყვეტილება დეკანის არჩევასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი, თავის მხრივ, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გააცნობს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს უნივერსიტეტის უმაღლესი ორგანო, როგორც აღვნიშნეთ, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

ბრძანება

№168/01-01 13.12.2012

ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ - პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 30 ოქტომბრის №37/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რ. ბოჭორიშვილის 2012 წლის 10 დეკემბრის №31973/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 13 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 14 იანვრიდან 2013 წლის 21 იანვარის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2013 წლის 28 თებერვლისა.

5. კონკურსი გამოცხადდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

ა) ქიმიის მიმართულება

ქვემიმართულება: მაკრომოლეკულების ქიმია

ასისტენტ-პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

ბ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულება

ქვემიმართულება: ელექტრომაგნიტური თავსებადობა

ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული.

6. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე CD-ზე ჩაწერილი saxeli.gvari.doc და saxeli.gvari.pdf ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

7. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2013 წლის 14 იანვრიდან 2013 წლის 21 იანვრის ჩათვლით, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ II კორპუსი, II სართული, ოთახი №232;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲒᲕᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ, ᲘᲛᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲔᲠᲔᲕᲘᲗ!

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

— საუბარი დავიწყოთ ყველაზე მტკივნეული საკითხით — სწავლის საფასურის თემით. ყველას აინტერესებს — საფასური გაიზრდება თუ შემცირდება რეალურად და რას იღებს თავის თავზე სახელმწიფო?

— გეტყვით ძალიან მკაფიოდ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლების ის გადასახადი, რაც არსებობს — 2250 ლარი, არ იზრდება. იზრდება მხოლოდ ის თანხა, რომელიც სტუდენტთა გრანტებისთვის არის გამოყოფილი. მოგეხსენებათ, რომ სტუდენტთა ნაწილი სახელმწიფოსგან იღებდა 100%-იან გრანტს, ზოგი — 50%-იანს, ზოგი 30%-იანს... ახლა სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს გაცილებით მეტი, თითქმის 5-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე ეს აქამდე იყო — სწორედ ამაზეა ამჯერად საუბარი. შევეცდებით დავაფინანსოთ დოქტორანტურაც, რის თაობაზეც უახლოეს ხანში მოგახსენებთ.

— დღეს უნივერსიტეტში უკვე ყველა დაინტერესებულია — რას ფიქრობს სამინისტრო ტენუარის სისტემის დამკვიდრებაზე, რაც განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის მხრიდან უკვე კონცეპტუალურად გახმოვანდა. საინტერესოა, რა მოსაზრება გაქვთ ამ ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით?

— ამ სისტემის შემოღებაზე სამინისტრო დადებითად ფიქრობს და მიაჩნია, რომ სწორი გზაა. კრიტერიუმები ტენუარის მიღებისთვის გაცილებით მეტია. ამის პოტენციალი შეიძლება ყველას არ ჰქონდეს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მეცნიერს და მეცნიერულ მუშაობას სტაბილური გარემო ესაჭიროება, უდავოა. მეცნიერი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, ერთთვიანი თუ სამთვიანი ხელშეკრულება რომ გამითავდება, შემდეგ სად წავიდეო. ამ საქმისთვის მომართული კაცი პურის შოვნაზე დღენიადაგ ფიქრითა და სახლის გათბობის პრობლემებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ სიმყარის განცდა უნდა ჰქონდეს — ისე ვერ შევქმნით ინტელექტუალურ პროდუქტს ქვეყანაში. ტენუარის პრინციპი, მეტ-ნაკლებად, ამის

დავით ზურაბიშვილი

საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ტენუარის ინსტიტუტის ხიბლი ისიც არის, რომ მხოლოდ რექტორატი აღარ იქნება მთავარი ბირთვი უმაღლეს სასწავლებლებში და პროფესურასაც მეტი უფლებები და საშუალებები მიეცემა. ტენუარის პრინციპის დადებითი მხარეა ისიც, რომ პროფესორის როლი უნივერსიტეტის მართვასა და მის ფუნქციონირებაში იზრდება. ეს კარგი და სწორი პრინციპია. ამ სისტემის დამკვიდრების მოსამწიფებლად ჯერ განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისია იმუშავებს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენთან ერთად არა მარტო მეცნიერების ორგანიზების საკითხებს — თუ როგორი უნდა იყოს პროფესურის როლი, არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა იყოს აწყობილი უმაღლესი განათლების მთელი სისტემა, საშუალო განათლების სისტემა და სხვ.

საერთოდ განათლების სისტემა ვერ იტანს სწრაფ, რადიკალურ ცვლილებებს. სწორი გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება გარკვეული დრო, რათა ეს გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში და ამოქმედდეს. რაღაც პერიოდი უნდა მისცე ადამიანებს საფიქრელად, რომ ნააზრევი კარგად მოითელოს, რადგან როცა განათლების სისტემაზე ვსაუბრობთ, ეს ბევრი ადამიანის მომავალზე განსჯას მოიცავს. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ რადიკალური და სწრაფი ცვლილებების უფლება არ გვაქვს. როდესაც ცვლილება შემოგაქვს, დიდი მსჯელობს შემდეგ რაღაც ეტაპზე შეიძლება ჯერ დანერგო, დარგობრივად გათვალო და მხოლოდ ამის შემდეგ დაამკვიდრო საყოველთაოდ. თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებელია მუდმივად ზრუნვა ეტაპობრივ ცვლილებებზე ამ სფეროში.

— და როდემდე უნდა ელოდოს ჩვენი საზოგადოება ამ ცვლილებებს?

— დიდხანს ლოდინი არ მოუწევს... მსჯელობა დაიწყება ახლავე და ძალაში შევა ცოტა გვიან.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში განათლების სამინისტრო რაღაც ფორმით ყოველთვის ერეოდა. თქვენ რა დოზით აპირებთ მოქმედებას „ზემოდან"?

— რექტორატის გადაწყვეტილებებში სამინისტრო არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა. როდესაც სახელმწიფო კომისიის მიერ რეფორმის სქემა გამოიკვეთება — თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს უმაღლესმა სასწავლებელმა ახალ პოლიტიკურ რეალობაში, ამ ყველაფერს შემდეგ კანონის სახე მიეცემა.

— საუბრობენ იმაზე, რომ უნივერსიტეტებში რექტორისა და დეკანების არჩევის წესი შეიცვალოს. მითითების თვალსაზრისით ამ საკითხში, მაგალითად, სამინისტრო არ ჩაერევა? ანუ ეს მხოლოდ საუნივერსიტეტო საზოგადოების გადასაწყვეტი იქნება?

— პირადად ჩემი აზრია, რომ მსგავს გადაწყვეტილებებში სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა იყოს. ჩემი აზრით, აკრედიტაციის მექანიზმებიც გარეთ უნდა იყოს „გასული", ანუ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს აკრედიტაციის პროცესში.

ჩვენ არ ვაპირებთ, არაფორმალურად დავიწყოთ ხელის ფათური იმ საქმეში, რაც კანონით არ გვეხება, როგორც ამას ყოფილი ხელისუფლება აკეთებდა კუდის, სოდის თუ უშიშროების კადრის ვინმესთან მიგზავნით. ჩვენ ვაპირებთ, რომ კარგად შევისწავლოთ სიტუაცია, შეიქმნას ახალი საკანონმდებლო ბაზა, რასაც აუცილებლად მოყვება ცვლილებები და თუ სადმე სამინისტროს ჩარევა გახდება საჭირო, ჩვენ ჩავერევით, თუ არა და ვერ ჩავერევით. თუ რაღაც პროცესი უნივერსიტეტში კარგად ვერ მიმდინარეობს, ეს თავად საუნივერსიტეტო საზოგადოების გადასაწყვეტი და სტუდენტებისა თუ ლექტორების საქმეა. ჩვენ კონცეპტუალური, პრინციპული მიდგომა გვაქვს, რომ მინიმალურად მოხდეს სახელმწიფოს ჩარევა უმაღლეს სასწავლებლებში — რექტორის არჩევის წესი იქნება ეს თუ სხვა.

— მინისტრი საუბრობს დაფინანსების გაზრდაზე. შეეხება თუ არა ეს მეცნიერებას?

— მეცნიერების დაფინანსება გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში და ამ მიმართულებით მუშაობას კიდევ გავაგრძელებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ბიუჯეტი, რაც განათლების სფეროშია, ძალიან ცოტაა და უნდა გაიზარდოს.

ერთ ასეთ მაგალითს გეტყვით — შოთა რუსთაველის ფონდისთვის, რომელიც ამ პროექტებს აფინანსებს, შარშან გამოყოფილი იყო, დაახლოებით, 24 მილიონი, მაგრამ 10-12 მილიონზე მეტს ვერ ითვისებდა და ვერ ითვისებდა არა იმიტომ, რომ პროექტები არ იყო, არამედ იმიტომ, რომ იმდროინდელი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ ფონდს ფულს აწერდა, უხეშად რომ ვთქვათ. მაქვს ინფორმაცია, რომ, რაც დასჭირდებოდათ — 5-6 მილიონი — ამ ფონდიდან მიჰქონდათ. ამიტომ მეცნიერებაზე რეალურად 24 მილიონი კი არ დაიხარჯა, არამედ დაიხარჯა 11 მილიონი. ჩვენ ახლა მისთვის 25 მილიონი გვაქვს გამოყოფილი და გარწმუნებთ, რომ 25-ვე დაიხარჯება და მოხმარდება მეცნიერებას. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ მიმართულებით 2-ჯერ გაიზრდება დაფინანსება. გარდა ამისა, შევეცდებით, კვლევითი ინსტიტუტების, პირველ რიგში, სტატუსის განსაზღვრასა და მათ დაფინანსებას. საერთოდ, მეცნიერებას უფრო მეტი გულისყურით უნდა მივუდგეთ და სერიოზულად ვიფიქროთ — როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ნამდვილმა მეცნიერმა იმუშაოს და არა ლუკმა-პურის შოვნაზე იყოს გადაგებული - ეს არანორმალურია.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ?

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ზაალ კოკაია

ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲢᲔᲜᲣᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲜᲣᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ. ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲡ. ᲐᲥ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲖᲔ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ“

ᲗᲣ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲜᲣᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲕᲘᲖᲘᲓᲝᲗ

როგორც მოგეხსენებათ, განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიას შემოაქვს ტენიურებული პოზიციების ცნება, რომლითაც მაღალი დონის ახალი სამეცნიერო კადრების მოზიდვის პრობლემა გადაწყდება. კერძოდ, როგორც ბატონმა ზაალმა აღნიშნა, თუ რეალურად შეიქმნება ტენიურებული პოზიციები, ქართველების გარდა, უცხოელი მეცნიერებიც შეიძლება მოვიზიდოთ. „აქ, ასევე, ლაპარაკია იმაზე, რომ ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო რეალობის შეფასება მიუკერძოებელი უცხოელი ექსპერტების მიერ უნდა მოხდეს. თუ ამ სისტემაში ეს კომპონენტი არ იქნა ჩადებული, არაფერი გამოვა, მით უმეტეს, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. აქ შეუძლებელია რომ, ჯერ ერთი, ექსპერტები გყავდეს და მერეც, ისინი მიუკერძოებელნი იყვნენ. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო ექსპერტული ბაზა სამეცნიერო ნაშრომის შეფასებისთვისაც და იმის განსაზღვრისთვისაც, ვინ უნდა იყოს ტენიურებული, ასოცირებული და ასე შემდეგ.

განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიამ განსახილველად გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ახალ სისტემაზე გადასვლის სტრატეგია. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ საქართველოში არსებული რეალობა ეტაპობრივად უნდა მოერგოს ტენუარის სისტემას, რომელიც გულისხმობს როგორც აკადემიურ თავისუფლებას, ასევე, მიუკერძოებლობას და განათლების ხარისხს.

ყველა ის ეტაპი, რომელიც ამ სისტემაზე გადასვლის ხანგრძლივ პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს, თავისთავად მოიცავს საზღვარგარეთ მოღვაწე წამყვან მეცნიერთა ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას განათლებისა და მეცნიერების ხარისხის ამაღლებაში.

ცხადია, დღეს იმის ილუზია არავის აქვს, რომ ხვალ უცხოეთში მოღვაწე ყველა წარმატებული მეცნიერი მიატოვებს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს და საქართველოში ჩამოვა, მაგრამ მათი ჩართვა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ხარისხის ამაღლებაში აუცილებელია. ამისთვის უნდა შეიქმნას გარკვეული წინაპირობა, რასაც თეორიულად კარგად გააზრებული და პრაქტიკასთან აპრობირებული სისტემა უნდა ახლდეს თან.

შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრის ღეროვანი ნეიროუჯრედების ბიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზაალ კოკაია მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ჩამოყალიბდეს განათლებისა და მეცნიერების სრულყოფილი სისტემა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაექვემდებაროს კომპრომისს. „მიდგომა, რომ დღეს ეს სისტემა ჩვენთან არ იმუშავებს და ის ქართულ რეალობას უნდა მივუსადაგოთ, თავშივე მცდარია. ასეთ შემთხვევაში სისტემა კი იქნება რეალობაზე მორგებული, მაგრამ რეალობა ისეთივე დარჩება, როგორიც არის. ამიტომ უნდა ავიღოთ მსოფლიოში აპრობირებული მოდელი და ქართული რეალობა მივუსადაგოთ, მოვარგოთ მას. მეორე და აუცილებლად გასათვალისწინებელი საკითხია ის, რომ გარდაქმნა არ მოხდება ერთ დღეში, ეს ხანგრძლივი პროცესია და მის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს“, — ამბობს იგი.

რაც შეეხება უცხოელ მეცნიერთა საქართველოში დაბრუნების საკითხს, ზაალ კოკაიას მიაჩნია, რომ ერთი ფორმაა მეცნიერთა მოწვევა და ჩართვა სასწავლო პროცესში და მეორე — იმგვარი სისტემის შექმნა, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი საბოლოოდ დამკვიდრდეს საქართველოში: „ჩვენ ამ პრობლემის მოგვარების პროცესს სხვადასხვაგვარად განვიხილავთ. ერთერთი ფორმაა ის, რომელსაც უკვე წლებია ვაკეთებ, ანუ მეცნიერი, რომელიც უცხოეთში მუშაობს, გარკვეულ დროს ატარებს საქართველოში, როგორც მოწვეული პროფესორი. ამ ფორმით ეს მეცნიერი ჩართულია სასწავლო პროცესში, რაც იმის საწინდარია, რომ გარკვეული დონე და კომპეტენცია შემოვა ჩვენს განათლებაში. ამ ჩართულობის შემდეგ სტუდენტები ჩავლენ ვთქვათ, დასავლეთში და კი არ დარჩებიან, დაბრუნდებიან და გააგრძელებენ საქართველოში მოღვაწეობას.

არის მეორე — ტენუირებული პოზიციების შექმნის პრინციპი, რომლითაც, შესაბამისი დაფინანსების პირობებში შეიქმნება გარანტია იმისა, რომ მათ ექნებათ სამუშაო პირობები და ტენუირებული პოზიცია. ასეთ გარემოში, როცა შესაბამისი დაფინანსება გაჩნდება, დარწმუნებული ვარ, ბევრი ცნობილი მეცნიერი დაიწყებს დაბრუნებაზე ფიქრს. აქ საუბარი მაქვს მაღალი დონის მეცნიერებზე, თორემ ახალგაზრდა მეცნიერები სიამოვნებით დაბრუნდებიან“, — განაცხადა ზაალ კოკაიამ ჩვენთან საუბარში.

მან ასევე აღინიშნა, რომ დროა დაიწყოს კადრების მომზადების გრძელვადიანი პროცესი. ეს გულისხმობს სტუდენტის მივლინებას საზღვარგარეთ სადოქტორო ნაშრომის მოსამზადებლად იმ გარანტიით, რომ ამის შემდეგ მინიმუმ 5 წელი იმუშავებს საქართველოში. ბატონი ზაალის აზრით, ამ ფორმით იმ ცოდნას, რასაც მივლინებული სტუდენტი მიიღებს და რასაც ჩვენ დავაფინანსებთ, უკანვე წამოვიღებთ.

ᲒᲔ-5 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

 პოზიცია უმაღლესი განათლების საკითხებზე

უნდა გაუქმდეს რეგენტთა საბჭო და შეიცვალოს უნივერსიტეტის ზედამხედველობის მექანიზმიც

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში განსაზღვრა პრიორიტეტები – სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და განათლება. ამავე კანონზომიერებით აიხსნება ისიც, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტმა განათლების სისტემის დაფინანსების ხარჯები 61 700 000 ლარით გაზარდა.

რა პერსპექტივები ისახება განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის და როგორ შეიძლება კიდევ უფრო დაუახლოვდეს იგი ევროპულ საგანმანათლებლო სისტემას — ამ საკითხებზე ვესაუბრეთ განათლების, მეცნიერების და რეგიონული განვითარების ექსპერტს თამარ ზაალიშვილს, *რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი პროგრამის მეშვიდე თავის — „განათლება და მეცნიერება” ერთერთი თანაავტორია:*

მაია ტორაძე

— ქალბატონო თამარ, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ბევრი საგულისხმო პოსტულატია მოცემული ზოგადად განათლების და უმაღლესი განათლების განვითარების შესახებ. რას ეყრდნობოდა ეს დოკუმენტი და რამდენად იყო შესწავლილი წინაპირობები?

— დოკუმენტში, რომელიც წინასაარჩევნოდ გამოქვეყნდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განათლებასა და მეცნიერებას. ვიდრე „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ორგანიზაციის სახით დაფუძნდებოდა, მანამდე შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება”, რომლის ფარგლებშიც, სხვა თემატურ ჯგუფებთან ერთად, იმუშავა ჩვენმა ქვეჯგუფმა — „განათლება”. ჩემთვის, როგორც განათლების ჯგუფის კოორდინატორისთვის, სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ კოალიციის ლიდერთან საუბრის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკური დოკუმენტი გაცილებით უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ წინასწარ შემუშავდებოდა ექსპერტული დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა წინასაარჩევნო პროგრამას.

საბოლოოდ დაიდო საშუალო ვადიანი პროგრამა, რომელსაც წინ უძღოდა ძალიან ფართო ექსპერტული სამუშაოები, რაც ასახულია ამ დოკუმენტში. აქ არც ერთი საკითხი არ არის შეუსწავლელი სხვადასხვა სისტემისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაანალიზების გარეშე.

პირადად მე ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდი როგორც სტრატეგიული დაგეგმვის ექსპერტი და შემიძლია გითხრათ, რომ პროგრამაზე მუშაობისას არაერთ წინაალმდეგობას წავაწყდი. მაგალითად, ჩემთვის მოულოდნელობა იყო, რომ თურმე 2008 წლის შემდეგ სტატისტიკის ეროვნული სამსახური მეცნიერების სტატისტიკას აღარ აწარმოებს. ჩვენ შევეცადეთ ამგვარი ხარვეზები ამოგვევსო და არა მარტო რაოდენობრივი, არამედ შეფასებითი და ხარისხობრივი მონაცემებიც შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას განვიხილეთ ყველა ის კვლევა, რომელიც დღემდე განხორციელდა არასამთავრობო სექტორის, ან თუნდაც ცალკეული ექსპერტების მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

რაც შეეხება უშუალოდ ჯგუფის საქმიანობას, მასში ჩაერთო ექსპერტთა და პრაქტიკოსთა ფართო სპექტრი — სკოლამდელი აღზრდა-განათლების, ზოგადი განათლების, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენლები. ამ ეტაპზე თემატურმა ჯგუფმა უკვე შეასრულა თავისი მისია. ახლა, ვფიქრობ, პროცესებში ერთნაირად უნდა ჩაერთოს როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე, სამოქალაქო სექტორი და ყველა დაინტერესებული პირი, რადგანაც განათლება ის სფეროა, რომლის განვითარებით მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული.

— თქვენი აზრით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროგრამა და როგორ უნდა შეექმნას საფუძველი მაღალი ხარისხის განათლების მიღებას?

— პროგრამაზე მუშაობის პირველ ეტაპზე გაკეთდა სიტუაციური (როგორც ძლიერი, ასევე, სუსტი მხარეების) ანალიზი. მივედით დასკვნამდე, რომ ყველაზე მთავარი, რაც პირველ რიგში უნდა განხორციელდეს, ესაა საგანმანათლებლო სისტემის სრული დეპოლიტიზაცია. წინასწარი კვლევისას ეს პრობლემა ერთნაირად წარმოჩნდა როგორც სკოლამდელი აღზრდის, ისე ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების სისტემაშიც. ასევე, გამოიკვეთა, რომ განათლების სისტემის ყველა საფეხური პოლიციური რეჟიმის გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა.

გარდა ამისა, კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობდა მართვის პრობლემები და აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ პოლიტიზებას ან პოლიციური რეჟიმის გავლენას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებად სწორედ ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიმართულება დაისახა. ამგვარი მართვის გარეშე შეუძლებელია განათლების სისტემა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი გახდეს.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ განათლების ხელმისაწვდომობაში?

— ბოლონიის პროცესის ფარგლებში მინისტრების ბოლო შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები და, ზოგადად, ყველა დოკუმენტი — დეკლარაციები, კომუნიკეები, რომლებიც უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას შეეხება, ცალსახად აფიქსირებს სახელმწიფოს როლს უმაღლესი განათლების განვითარებაში. ეს გულისხმობს როგორც ტერიტორიულ, ისე ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერი ფინანსურ ხელმისაწვდომობამდე დადის. სახელმწიფოსათვის განათლება პრიორიტეტული უნდა იყოს დაფინანსების კუთხით, განსაკუთრებით იმ სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია.

— თქვენი აზრით, წინა ხელისუფლების პერიოდში განათლების ხელმისაწვდომობა არ არსებობდა? ხომ იყო გრანტების სისტემა, რომელიც ნებისმიერი სოციალური შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტს აძლევდა სასურველი პროფესიის მიღების შანსს? არსებობდა სტუდენტური სესხების პროგრამებიც, ანუ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგმული იყო. ახალი რა შეიძლება ხელისუფლებამ ამ კუთხით გააკეთოს?

— სახელმწიფოს მიერ გრანტის ზედა ზღვარად დაწესებულია 2250 ლარი, მაგრამ აქ გრანტზე კი არა, სოციალურ უთანასწორობაზეა საუბარი — საზოგადოების დიდ ნაწილს ამ თანხის გადახდა ძალიან უჭირს. ამიტომ სახელმწიფოს ვალდებულებაა — შექმნას შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომ ადამიანებმა შეძლონ განათლების მიღება. ბოლო დროის კვლევებით საქართველოში მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავალი მოსახლეობაში არათანაბრად ნაწილდება.

— როგორია ეს მონაცემები, რამდენია უთანაბრობის მაჩვენებელი?

— ჯინის კოეფიციენტი, რომელიც მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებელია, 2011 წლის მონაცემებით იყო 0,42. ეს არის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. განათლების უფლების რეალიზებისა და სოციალური უთანასწორობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, ანუ, რის ფასად უჯდება მშობლებს შვილის სწავლის საფასურის გადახდა.

ამას წინათ შეხვედრა მქონდა განათლების სფეროს წარმომადგენლებთან, სადაც ერთმა ქალბატონმა ბრძანა, რომ მისი ორივე შვილი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, მათგან ერთმა 70 პროცენტიანი დაფინანსება მიიღო, მეორემ — 50 პროცენტიანი. ბუნებრივია, რომ გარშემომყოფებმა მიულოცეს და ტაშიც კი შემოჰკრეს. ქალბატონს კი ცრემლები წამოუვიდა და ყველა სახტად დარჩა. აღმოჩნდა, რომ ოჯახს იმ დარჩენილი 30 და 50 პროცენტის გადახდის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, რის გამოც მის მეუღლეს ინსულტი განუვითარდა. აი, ეს არის რეალობა, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს.

თუმცა, გარკვეულწილად, უკვე დაიწყო ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში განათლების დაფინანსება საგრძნობლად იზრდება. საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს შევადაროთ გასული წლის და მომავალი წლის ხარჯები. მაგალითად, თუ თავდაცვის ხარჯები 2012 წელს 657 927,1 ათას ლარს შეადგენდა, 2013 წელს ის შემცირებულია და შეადგენს 639 064,4 ათას ლარს. მაშინ, როცა განათლებაზე ხარჯები გაზრდილია. კერძოდ, 2012 წელს განათლების სისტემის დაფინანსების მაჩვენებელი 610 753,8 ათასი ლარი იყო, მომავალი წლისათვის კი ის 682 346,1 ათას ლარამდეა გაზრდილი.

— მაგრამ თავდაცვის სფეროც ხომ პრიორიტეტულია?

— ჩვენ ახლა ვსაუბრობთ პრიორიტეტებზე და ვხედავთ, თუ როგორ ლაგდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები სფეროების მიხედვით. რა თქმა უნდა, თავდაცვაც უნდა დაფინანსდეს და საერთოდ, არც ერთი სფერო არ უნდა დაზარალდეს, მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესია, რომ განათლება და მეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, ხელისუფლებისთვის ერთერთი პრიორიტეტული სფერო იყოს.

თამარ ზაალიშვილი

მიზანია უნივერსიტეტის რეალური ავტონომია და არა ისეთი ფორმალური, რომელიც დღემდე გვქონდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნა.

— რაც თქვენ ბრძანეთ, ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა. მაგრამ ამავე პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობაც. ამავე კონტექსტში ალბათ უპრიანი იქნება საუბარი, თუ როგორ გესახებათ უნივერსიტეტების ავტონომიურობა რეგენტთა საბჭოს არსებობის პირობებში, ხოლო თუ რეგენტთა საბჭო გაუქმდება, რაზეც სხვადასხვა წრეებში უკვე საუბრობენ, მაშინ რა ფორმას იტოვებს სახელმწიფო მის მიერ უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი თანხების კონტროლისთვის?

— ვფიქრობ, ეს საკითხი აუცილებლად უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. მოგეხსენებათ, რომ 2004 წელს მიღებული „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აფუძნებდა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. ამდენად, უნივერსიტეტები, დაახლოებით ერთი წლის წინ, საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ. შარშან, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელი გახდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არასამეწარმეო იურიდიული პირის (აიპ-ის) სახითაც დაფუძნებულიყო. ამ ცვლილების საფუძველზე, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გასული წლის ბოლოს აიპ-ის ფორმით დაფუძნდა. გარდა ამისა, შეიქმნა რეგენტთა საბჭო, რათა განახორციელოს უნივერსიტეტის საქმიანობაზე ზედამხედველობა.

ჩემი აზრით, რადგანაც ჩვენი კანონმდებლობა იცნობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სულაც არ იყო უნივერსიტეტების არასამეწარმეო იურიდიული პირად გადაკეთების საჭიროება. არც ის არგუმენტი მგონია დამაჯერებელი, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი უნივერსიტეტებს მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს, რადგან, თუ ზედმიწევნით განვიხილავთ რეგენტთა საბჭოს უფლებამოსილებებს და მისი დაკომპლექტების წესს, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხი, თუნდაც ფორმალურად, გაიზარდა.

— ვთქვათ, გაუქმდა რეგენტთა საბჭო. მაშინ რას გვთავაზობთ? როგორ უნდა გაკონტროლდეს სახელმწიფო უნივერსიტეტების ფინანსები?

— ვფიქრობ, უნივერსიტეტებს უნდა დაუბრუნდეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. თავის დროზე ბევრი კვალიფიციური ექსპერტი მუშაობდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის შემუშავებაზე და მიმაჩნია, რომ ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სრულიად აძლევს შესაძლებლობას სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომ ეფექტიანად იფუნქციონერონ.

— დაისვა თუ არა საკითხი მთავრობის წინაშე, რომ ამგვარი ცვლილება განხორციელდეს?

— ეს არის პრინციპულად გადასაწყვეტი საკითხი. სტრატეგია, თუ როგორი იქნება უნივერსიტეტების სამართლებრივი ფორმა, უნდა ემსახურებოდეს იმ მიზნებს, რომელიც ჩვენ მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ დოკუმენტშია დეკლარირებული. ჩვენი პოზიციაა, რომ უნდა გაუქმდეს რეგენტთა საბჭო და შეიცვალოს უნივერსიტეტის ზედამხედველობის მექანიზმიც. მიზანია უნივერსიტეტის რეალური ავტონომია და არა ისეთი ფორმალური, რომელიც დღემდე გვქონდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია აკადემიური თავისუფლების გარანტიების შექმნა.

— წინასაარჩევნო პროგრამაში საუბარია უწყვეტი განათლების საკითხებზეც. თქვენი აზრით, რა პირობებია ამისათვის დღეს და როგორ შეიძლება, რომ ეს რეალურად განხორციელდეს?

— ვფიქრობ, რომ ქვეყანამ ცალკე უწყვეტი განათლების სტრატეგია უნდა შეიმუშაოს და შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს. პრობლემა ისევ შრომის ბაზარს და იმ სოციალურ-ეკონიმიკურ მდგომარეობას უკავშირდება, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება. მიმაჩნია, რომ თუ ყველაფერი ის, რაც საარჩევნო პროგრამაშია მითითებული კომპლექსურად განხორციელდება, უწყვეტი განათლების პროცესიც ამოქმედდება. გეკითხებით, თუკი ადამიანს, რომელსაც შინაგანი მოტივაცია არა აქვს იმისა, რომ მისი ცოდნა და უნარები სამომავლოდ დაფასდება, რატომ შეეცდება კიდევ გაიღრმავოს ან მიიღოს ახალი ცოდნა? სამწუხაროდ, ეს ნიჰილიზმი მარაოს პრინციპით ვრცელდება ყველაზე და ყველაფერზე. ამიტომ, ვფიქრობ, რომ, როცა ქვეყანაში აღარ იქნება ავტორიტარული რეჟიმი და დეპოლიტიზებული იქნება განათლების და მეცნიერების სისტემა, ყველა სტრატეგიას — ეროვნულს, რეგიონულს თუ დარგობრივს — მომავალი ექნება.

— მივედით ბოლო შეკითხვამდე. ეს არის კადრების გადინება და მათი უკან დაბრუნება. როგორც ექსპერტი, რას იტყვით, როგორ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება და როგორ შეიძლება იმ ადამიანების უკან დაბრუნება, რომლებმაც საკუთარი უნარი და ნიჭი სხვა ქვეყანაში უფრო გამოიყენეს, ვიდრე სამშობლოში?

— ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ალბათ მეცნიერებზე, რომლებმაც საქართველო დატოვეს, რადგანაც ამ ქვეყანაში საკუთარი თავის რეალიზება ვერ მოახერხეს. საქმე ისაა, რომ თუ ადამიანი თეორიულ მეცნიერებაში მუშაობს, კიდევ შეიძლება მათ ხელის შეწყობასა და დაბრუნებაზე საუბარი, მაგრამ გაცილებით მძიმე მდგომარეობაა ექსპერიმენტულ დარგებში, რადგანაც რაც უნდა ნიჭიერი და კვალიფიციური იყო, თუ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიასთან არ გაქვს საქმე, ვერ გადიხარ ევროპულ სტანდარტზე. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი დაბრუნების პოლიტიკა მიმართულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით შემუშავდეს. დამეთანხმებით, როცა ადამიანი მუშაობს მაღალი სტანდარტის რომელიღაც ლაბორატორიაში და ჩვენ იმავე სტანდარტის კვლევის ჩატარების შესაძლებლობას ვერ ვაძლევთ, დაბრუნებაზე საუბარი ზედმეტია. ამდენად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ განვითარდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განისაზღვროს გრძელვადიანი პრიორიტეტები განსაკუთრებით ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარების თვალსაზრისით.

ცნობილი ფაქტია, რომ თუ ქვეყანა მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ პროცენტზე ნაკლებს გამოყოფს მეცნიერებაზე, იმ ქვეყანაში მეცნიერება არ ვითარდება. აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებას, რაც ძალიან ხშირად მეცნიერთა მხრიდან არასწორადაა ინტერპრეტირებული. ამაში იგულისხმება თანამონაწილეობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან. და აქ მივდივართ ისევ იქამდე, რომ ვერ განვიხილავთ თუნდაც მეცნიერებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის გარეშე. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, კერძო სექტორის როლი უმნიშვნელოვანესია მეცნიერების დაფინანსებაში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას შეუწყობს ხელს.

შეავსეთ კითხვარი

რომელი სასწავლო კურსი, საგანი ან ლექტორი იმსახურებს სტუდენტთა მაღალ შეფასებას ან პირიქით

მიმდინარე წლის 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამტკიცა სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი (ბრძანება №01/03), რომელიც მონაცემთა შეჯამების შემდგომ დაადგენს, რომელი სასწავლო კურსი, საგანი ან ლექტორი იმსახურებს სტუდენტთა მაღალ შეფასებას ან პირიქით, საჭიროებს კიდევ მეტად დახვეწას და განვითარებას.

ამგვარი გამოკითხვების ჩატარების საჭიროებაზე ბოლო პერიოდში აქტიურად მიანიშნებდნენ სტუდენტები. სწორედ მათი მოთხოვნის გათვალისწინების და სწავლების ხარისხის რეალური მაჩვენებლების გაანალიზების მიზნით, გადაწყდა — ჩატარდეს ანონიმური გამოკითხვა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრისთვის უკვე შეჯამებული იქნება.

გამოკითხვის მეთოდებსა და საბოლოო მიზნებზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე.

მაია ტორაძე

— ქალბატონო თამარ, სტუდენტთა აზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც მათ შეეძლოთ თავიანთი მოსაზრება დაეფიქსირებინათ ლექტორის, საგნების სწავლების მეთოდისა და ზოგადად სასწავლო პროცესის მიმართ, წინა წლებშიც ტარდებოდა და შემდგომ გარკვეული დროით შეწყდა. რამ განაპირობა მსგავსი გამოკითხვების განახლების ინტერესი?

— საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას ავალდებულებს. სასწავლო პროცესი, აკადემიური პროგრამები, ანუ ყველაფერი, რაც სწავლა-სწავლების პროცესს უკავშირდება, არ შეიძლება იყოს სტატიკური. ამ პროცესში აუცილებელია მუდმივი განახლება და დროის მოთხოვნების შესაბამისი განვითარება. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვფლობდეთ არსებული რეალობის ამსახველ ინფორმაციას, რომ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა შევძლოთ.

წინა თაობისგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის მიმართ დღეს სტუდენტებს აქვთ სრულიად განსხვავებული მოთხოვნები, რომელთა იგნორირებაც დაუშვებელია.

როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ აკრედიტაციის სტანდარტების დამაკმაყოფილებელ ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამას, მას ხარისხის ნიშანი ენიჭება, მაგრამ რეალური სურათი იმისა, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს პროგრამა პრაქტიკაში, ზოგჯერ აბსოლუტურად განსხვავებულია. ამიტომ, უნდა გავარკვიოთ, რამდენად ეფექტური და მოქნილია აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა და რა ტიპის მეთოდოლოგიაა გამოსაყენებელი სასურველი შედეგის მისაღებად. ამის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის ფაქტორი.

მოგეხსენებათ, როდესაც ესა თუ ის პიროვნება აკადემიურ კონკურსში იმარჯვებს თავისი მონოგრაფიებით, შრომებით, სახელმძღვანელოებით, სილაბუსებით, სასწავლო კონცეფციითა და სხვა ნაღვაწით, მას ექვსწლიანი კონტრაქტი უფორმდება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ამ ლექტორისთვის ტკბობის საფუძველი — მან წლიდან წლამდე უნდა დახვეწოს როგორც სასწავლო პროგრამა, ასევე, მისი სწავლების მეთოდიკა. ამისთვის, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია სტუდენტების აზრი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწორედ ამ მიზნით განაახლებს სტუდენტების აზრის კვლევის ტრადიციას.

— რა სიხშირით ჩატარდება ეს გამოკითხვა?

— ეს იქნება ყოველსემესტრული გამოკითხვები. ამ ეტაპზე გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების აზრის კვლევას სასწავლო კურსისა და აკადემიური პერსონალის მომსახურების შესახებ. პირველ ეტაპზე ისინი მხოლოდ სასწავლო კურსებს შეაფასებენ. რაც შეეხება მომსახურების შეფასებას, ჩვენ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ვგეგმავთ ორი ტიპის კითხვარის დამტკიცებას, რომელთაგან ერთი სწორედ მომსახურებას შეეხება. კითხვარი დამტკიცდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციისა და უნივერსიტეტის წესდებით მინიჭებული უფლება-მოსილების ფარგლებში. კითხვარის შედგენაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს ყველა ფაკულტეტი, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო დეპარტამენტები და იურიდიული სამსახური.

ახლანდელი კითხვარი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთობლივად შევადგინეთ. ხაზგასმით მსურს აღვნიშნო ქალბატონი ეკა ლეკაშვილისა და ქალბატონი დალი ოსეფაშვილის განსაკუთრებული აქტიურობა. ასევე, გამოგვადგა ქალბატონ დარეჯან გარდავაძის გამოცდილებაც.

— რა სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდა კითხვარი და რამდენად ერგება იგი ყველა ფაკულტეტის სასწავლო კურსს?

— კითხვარი ზოგადია და მოიცავს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის ინტერესს, რადგანაც ყველა ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინება ძალიან მძიმე იქნებოდა და 5-6 სხვადასხვა კითხვარის შემუშავება გახდებოდა საჭირო.

— როდის იგეგმება სტუდენტების გამოკითხვა და რა სახის იქნება აღნიშნული პროცესი?

— ვინაიდან კითხვარი 11 დეკემბერს დამტკიცდა, სტუდენტების გამოკითხვა მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე დაიწყება.

სიახლე გვაქვს გამოკითხვის ფორმის მხრივ: უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა შემოგვთავაზა გამოკითხვის ჩატარება ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. გამოკითხვა, წინა წლებისაგან განსხვავებით, პროცედურულად ბევრად გამარტივებულია. პროგრამულად ხელსაყრელი და მოსახერხებელია ის, რომ სტუდენტის მიერ დარეგისტრირებულ ყოველ საგანს ან სასწავლო კურსს დაერთვის ელექტრონული გამოკითხვის ფორმა. შესაბამისად, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, შეაფასოს ამა თუ იმ აკადემიური პერსონალის მუშაობა. რაც მთავარია, პროგრამულად გვექნება ისეთი ხელშეწყობა,

თამარ ვეფხვაძე

რომ ინფორმაციის პირველადი რანჟირება აუცილებლად ელექტრონულად მოხდება. ჩვენ შევძლებთ დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური შეფასების რაოდენობის დანახვას და ამის შემდეგ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად, გავაანალიზებთ მიღებულ ინფორმაციას.

— იქნება გამოკითხვის მეშვეობით მიღებული შედეგები კონფიდენციალური?

— დიახ. ეს ინფორმაცია იქნება სრულიად კონფიდენციალური და თეორიული შანსიც არ არსებობს იმისა, რომ ერთმა აკადემიურმა პერსონალმა მეორეს შეფასების შესახებ ინფორმაცია ნახოს. საჯაროდ გამოვაქვეყნებთ მხოლოდ ზოგად მაჩვენებლებს. საბოლოო შედეგი კი, რეკომენდაციის სახით, გადაეცემა ყოველ კონკრეტულ სუბიექტს, ანუ ჩვენს პატივცემულ პროფესორ-მასწავლებლებს, რის შემდეგაც ლექტორი თავადვე გადაწყვეტს, რა მხრივ გააააქტიუროს სტუდენტის მომსახურების ხარისხი. ანუ პროფესორის პრერეგატივა იქნება, გადაწყვიტოს, რა დახვეწოს, რა გააუმჯობესოს და რა შეინარჩუნოს. ეს შეიძლება იყოს სალექციო კურსი, სემინარულ ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკა, მეთოდოლოგია, ლიტერატურა, კომუნიკაციის ფორმა, საკონსულტაციო რეჟიმი და სხვა.

— მიიღებენ მონაწილეობას ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები შედეგების შეფასების და რეკომენდაციების შედგენის პროცესში?

— ფაკულტეტების მონაწილეობა ამ პროცესში აუცილებელია, რადგან, შესაძლოა, ერთი ფაკულტეტის სპეციფიკა ისეთ ნიუანსებს ითვალისწინებდეს, რაც მეორე ფაკულტეტისთვის სრულიად მიუღებელი იყოს. ამიტომ ინფორმაციის პირველადი დამუშავება და სპეციფიკური ორიენტირების გამოკვეთა სწორედ ფაკულტეტებზე მოხდება.

— რამდენად არიან დაცულები ლექტორები, ასე ვთქვათ, „განაწყენებული“ სტუდენტების შეფასებებისგან? ზოგმა სტუდენტმა შესაძლოა ლექტორი უარყოფითად მისი სიმკაცრის, მომთხოვნელობის გამო შეაფასოს...

— ამის თაობაზე ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ. გამოცდილების მიხედვით, სტუდენტების მხრიდან მეტწილად უარყოფით შეფასებას იღებს ის სასწავლო კურსები, რომლებიც პირველ სასწავლო წელს იკითხება. სწავლების ზედა საფეხურებზე სტუდენტი შეფასებას მეტ-ნაკლებად საკუთარი შედეგის მიხედვით აკეთებს და არა, ვთქვათ, ლექტორის სიმკაცრის მიხედვით. შესაბამისად, ზედა საფეხურზე მყოფი სტუდენტის შეფასება უფრო რელევანტურია, ვიდრე პირველკურსელი სტუდენტებისა.

არის იმის ალბათობაც, რომ სტუდენტების აზრი არაობიექტური იყოს. მაგალითად, მაგისტრატურის სტუდენტს მიმართულების ხელმძღვანელი შეიძლება უპირობოდ უყვარდეს და, შესაბამისად, მასზე მხოლოდ დადებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს. თუმცა, აქაც შეიძლება ჭეშმარიტების მარცვლის პოვნა, რადგან აბსოლუტურად რეალურია, ამა თუ იმ ლექტორმა ნამდვილად დაიმსახუროს სტუდენტის სიყვარული. ჩვენი სტუდენტობა გავიხსენოთ: ჩვენც ხომ გვყავდა 2-3 ლექტორი, რომელშიც მთელი კურსი ვიყავით შეყვარებული და დიდ პატივს ვცემდით მათ? ჩემ დროს ასეთები იყვნენ, მაგალითად, ბატონები: ალიკა ალექსიძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, რევაზ სირაძე – დღემდე მათი სახელები უძვირფასესია ყველა თაობის სტუდენტისთვის, რადგან მათ ეს დაიმსახურეს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ გამოკითხვა წელიწადში ორჯერ ჩატარდება. დავუშვათ, ლექტორმა პირველ სემესტრში მიღებული რეკომენდაციები არ ან ვერ გაითვალისწინა და იგივე შეცდომები დაუშვა. ამგვარმა შედეგმა რაზე შეიძლება იქონიოს გავლენა?

— ძალიან კარგი კითხვაა. რეალურად, რასაკვირველია, არის მოლოდინი და იმედი იმისა, რომ მეორე სემესტრში დაშვებული შეცდომების მაჩვენებელი პროცენტულად უფრო დაბალი იქნება, ვიდრე სასწავლო წლის პირველ ნახევრის მაჩვენებელი. საბოლოოდ, გამოკითხვის შედეგები და საანალიზო მასალა, ერთერთი იმპლიკატორი იქნება აკადემიური საკონკურსო კომისიისთვის. ხშირად ხდება, როდესაც აკადემიური კონკურსების დროს ორი ღირსეული კანდიდატი ერთმანეთის კონკურენტია ერთ ვაკანსიაზე. საუკეთესო კანდიდატურის გამოსავლენად, რასაკვირველია, არსებობს დამატებითი კონკურსები: მაგალითად, გასაუბრება, საჯარო ლექცია და ა.შ. თუ დამატებითი კონკურსის შემდეგაც არ გამოვლინდა აშკარა ფავორიტი, მაშინ გადამწყვეტი იქნება სტუდენტების გამოკითხვის მაჩვენებლები. ამით იმის თქმა მინდა, რომ გამოკითხვის პროცესი არ გულისხმობს მის ერთჯერად ჩატარებას და შედეგების მივიწყებას. ეს ყველაფერი სადღაც აუცილებლად მოიყრის თავს და ერთ დღეს შეიძლება ძალიან სერიოზული სამსახური გაუწიოს ამა თუ იმ პიროვნებას ან – პირიქით.

— და ბოლოს, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ, როდის დაიწყება გამოკითხვა და როდის იქნება შესაძლებელი შედეგების და რეკომენდაციების გაცნობა?

— კითხვარის შევსება სტუდენტებს მთელი სასესიო პერიოდის განმავლობაში შეეძლებათ. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ გამოკითხვაში მონაწილეთა იდენტიფიკაცია არ მოხდება. ანონიმურობა სრულიად დაცული იქნება. მიღებულ მასალას კი ოპერატიულად, მეორე სემესტრის დაწყებამდე გავაანალიზებთ.

დაბრუნდებიან თუ არა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები საქართველოში?

მესამე გვერდიდან

საბოლოო გადაწყვეტილებას, ცხადია, საკონკურსო კომისია მიიღებს, მაგრამ აპლიკანტის რეიტინგის დადგენა უნდა მოხდეს მიუკერძოებლად, უცხოელი ექსპერტების მიერ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სათუთი პროცესია, რასაც სერიოზული, საფუძვლიანი მიდგომა სჭირდება“, — განაცხადა ზაალ კოკაიამ.

მისივე თქმით, გარკვეული კრიტერიუმებია ჩამოსაყალიბებელი ექსპერტთა შერჩევის და პრიორიტეტების განსაზღვრის დროსაც. „როდესაც ექსპერტს აარჩევ, მას წარუდგენ, რისი შეფასება გინდა და რა კრიტერუმებია გასათვალისწინებელი. ამასთან, კრიტერიუმები სპეციალობებისა და მიმართულების მიხედვით უნდა დადგინდეს. ასევე, განისაზღვროს, რა არის მთავარი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და რა — ვთქვათ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში. აქ იგულისხმება ის, რომ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გაცილებით მეტი იქნება და ეს კომპონენტი შერჩევისას მნიშვნელოვანი იქნება. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სხვა კომპონენტმა უნდა გადაწყვიტოს ამა თუ იმ კადრის კვალიფიკაცია და ნაშრომის ღირებულება. განსხვავებული იქნება შეფასებები იმ მიმართულებებზე, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია (იქნება ეს ქართველოლოგია თუ არქეოლოგია). ყველაფერს ინდივიდუალური მიდგომა დასჭირდება არამარტო შერჩევის, არამედ დაფინანსების დროსაც“, — განაცხადა მან.

ზაალ კოკაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორია და მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტებისთვის ორი კურსი მიჰყავს. ის წელიწადში 2-ჯერ ჩამოდის ლექციების ჩასატარებლად და აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, რაც იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მაღალი დონის მეცნიერი, რომელიც დაინტერესებულია ქართული მეცნიერების განვითარებით, შეძლებს გამონახოს დრო ლექციების წასაკითხად და სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩასართავად.

სულ ცოტა ხნის წინ ზაალ კოკაიამ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისთვის განკუთვნილი გრანტი მიიღო. ამ გრანტით იგი აპირებს შექმნას ლუნდის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრის ღეროვანი ნეიროუჯრედების ბიოლოგიის ლაბორატორიის მცირე ფილიალი და მასში დაასაქმოს ახალგაზრდები, რომლებიც შვედეთში, ბატონი ზაალის დაფინანსებით, გაივლიან სპეციალურ მომზადებას. „ლაბორატორიის აღჭურვა ნაწილობრივ გრანტის ფარგლებში მოხდება, ნაწილს კი მე დავაფინანსებ. აქ დიდ თანხებზე არ არის ლაპარაკი. საქმე შეიძლება პატარა თანხებით, მაგრამ სწორად გააკეთო“, — განაცხადა ზაალ კოკაიამ.

„მითი შეიძლება იყოს უსასრულო რაოდენობის, ხოლო სიმართლე მუდამ ერთია“

გია დვალი სამყაროს თავისუფალი შემეცნების შესახებ

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა, მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ გია დვალმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია: „მეცნიერული აზრის მნიშვნელობა სამყაროს თავისუფალი შემეცნებისთვის“.

მაია ტორაძე

თეიმურაზ ნადარეიშვილი

პროფესორმა დვალმა ლექციის შესავალ ნაწილში ყურადღება გაამახვილა მეცნიერული აზრის გენეზისზე და აღნიშნა, რომ ლექციის მთავარი მიზანი არის მეცნიერების პოპულარიზაცია და ცენტრალური ადგილი დაუთმო საღი აზრისა და მეცნიერული აზრის მნიშვნელობას: „რატომ არის ეს ასე აქტუალური? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეს ყოველთვის საინტერესოა კაცობრიობისთვის (პირდაპირი გაგებით ჩვენი პროგრესია), მეორეც, ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, ვინაიდან მეცნიერული აზრი და საღი აზრი ამჟამად საშიშროების ქვეშ დგას. შესაბამისად, მინდა ყურადღება გავამახვილო ამ კუთხით,“ — აღნიშნა მან.

პროფესორმა დვალმა მეცნიერული და საღი აზრის საილუსტრაციოდ მოიყვანა ორი მაგალითი თანამედროვე ფიზიკის სფეროდან: სამყაროს წარმოშობის („დიდი აფეთქება“) თეორია და ჰიგსის ბოზონის (ე.წ. „ღვთიური ნაწილაკი“) აღმოჩენა CERN-ში 2012 წლის ზაფხულში. ეს მაგალითები, პროფესორის განმარტებით, წარმოადგენდა „ჩარჩოს“, რომელზე დაყრდნობითაც მან აჩვენა მეცნიერული და საღი აზრის განვითარების ევოლუცია. მან გამოყო დაკვირვებლის ფუნდამენტალური როლი მეცნიერული დაკვირვების პროცესში და დამკვირვებლის ფუნქცია დააკისრა ყველასთვის ცნობილ პირველ ევროპელებს — ზეზვასა და მზიას, რომელითაგან ზეზვა დედამიწაზე მოათავსა, ხოლო მზია — შორეულ გალაქტიკაში.

ლექციის პირველ ნაწილში გია დვალმა ისაუბრა სამყაროს გაფართოების ფენომენზე, რომელიც პირველად აღმოაჩინა ხაბლმა: V=HR, სადაც V არის გალაქტიკების დაშორების სიჩქარე, R არის მათ შორის მანძილი, ხოლო — ხაბლის მუდმივა.

შემდეგ გია დვალმა ისაუბრა კოსმოლოგიაში კარგად ცნობილ „ღმერთის ბოძებულ სისტემაზე“, როდესაც მანძილები იზომება სინათლის მიერ დროის ერთეულში გავლილი მანძილით (სინათლის წამები, სინათლის წელიწადი და ა.შ.) და საკითხის უკეთ გასაგებად ერთი შეხედვით რიტორიკული კითხვა დასვა: „რა მანძილი უნდა იყოს მზიას და ზეზვას შორის, რომ მათ ვეღარ შეძლონ ერთმანეთთან სიგნალის გადაცემა? ასეთი მანძილი არსებობს და ეს არის ზღვრული მანძილი, რომელიც შეგვიძლია დავადგინოთ ჰაბლის კანონიდან: R=C/H, საიდანაც „ღმერთის ბოძებულ სისტემაში“, როცა C=1, გვექნება R=1/H. ანუ ასეთი მანძილი არის ხაბლის პარამეტრის შებრუნებული, რომელსაც ეწოდება „კოსმოლოგიურ ჰორიზონტი“.

ამის შემდეგ გია დვალმა განავითარა თემა „კოსმოლოგიური ჰორიზონტის“ შესახებ და აღნიშნა, რომ „კოსმოლოგიური ჰორიზონტის“ გარეთ იკარგება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოვლენებს შორის და ამიტომ ჰორიზონტს გარეთ არსებული ობიექტი ჩვენთვის (დამკვირვებლისთვის) არ არსებობს, რადგანაც დასაკვირვებელი ობიექტიდან დამკვირვებლმდე ინფორმაცია ვერ მოდის.

„ჩვენი კოსმოლოგიური ჰორიზონტი სიდიდით არის დაახლოებით 1028 სანტიმეტრი. ამას ხაბლის რადიუსს ვეძახით. ანუ, ეს არის დაახლოებით 13-15 მილიარდი სინათლის წელინადი. ესე იგი, სინათლემ ჩვენგან 15 მილიარდი წელი უნდა იაროს, რომ „კოსმოლოგიურ ჰორიზონტს“ მიაღწიოს. ანუ, როდესაც ჩვენ ცაში ვიხედებით, ჩვენი თვალის ნერვზე რეგისტრირდება ფოტონები, რომლებმაც ჩვენამდე 15 მილიარდი წელი გამოიარეს. ამ ფოტონს მოაქვს 15 მილიარდი წლის წინათ არსებული სამყაროს ინფორმაცია. ასეთნაირად, უბრალოდ ცაში ახედვით, ჩვენ ვღებულობთ ინფორმაციას ადრეულ სამყაროზე, რომელიც გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე დედამიწა, რომლის ასაკი მხოლოდ 5 მილიარდი წელია,“ — ბრძანა გია დვალმა.

ლექციის შემდეგ ნაწილში პროფესორმა აღნიშნა, რომ „კოსმოლოგიური ჰორიზონტის“ შეფასება აბსოლუტური მტკიცებულებაა. ეს არის ის უშორესი მანძილი, რომელსაც ადამიანის დაკვირვება შეიძლება გაწვდეს და ეს არ არის დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია ცივილიზაცია. ანუ, რომელიღაც პლანეტაზე, რომელზეც, შესაძლოა, გაცილებით მაღალი ცივილიზაცია არსებობს, 1028 სანტიმეტრი მანძილი უცვლელი იქნება.

გია დვალმა სამყაროს გაფართოების შესახებ საუბარი მარტივი კითხვით დაიწყო: რა არის სამყარო? და ახსნა, რომ სამყარო ცხოვრობს სივრცე-დროში და ის მკვდარი და უსულო სუბსტანცია კი არ არის, არამედ დინამიურია იმის გამო, რომ არსებობს გრავიტაცია. სამყაროს გაფართოება დვალმა შეადარა რეზინის ხალიჩას და საპნის ბუშტის ზედაპირს, რომლებიც შესაბამისად იჭიმება და იბერება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სივრცე-დროითი სუბსტანციის ყოველი უბანი დროის მიხედვით იჭიმება, ანუ სამყაროში მანძილები იზრდება. „თუ ამ პროცესს ვიდეოფილმის დროში უკან გადმოხვევას შევადარებთ, მივალთ სამყაროს დასაწყისამდე, ანუ ისტორიამდე — საიდან მოდის სამყარო? საიდან მოვდივართ ჩვენ?“ — განაცხადა მეცნიერმა.

თანამედროვე სამყარო დასაწყისში 10-25 სანტიმეტრი ზომის იყო. შემდეგ სამყარო ძალიან სწრაფად ფართოვდებოდა, რასაც მოჰყვა გაფართოების შენელება და გადაცხელება. შედეგად წარმოიშვა სტრუქტურები, მატერიები და სამყაროს თანამედროვე სურათი (რაც ჩვენ ვართ). „რა გვაძლევს იმის მტკიცებულების უფლებას, რომ ასეთი იყო სამყაროს განვითარების სცენარი? ამის საფუძველია ფიზიკის კანონები. მაგალითად, ნებისმიერ პროფესორს, რომელიც ასწავლის კოსმოლოგიას, შეუძლია აიღოს ცარცი და დაფაზე გამოიყვანოს სამყაროს სურათი დასაწისიდან დღევანდლამდე. აღმოჩნდა, რომ სამყაროს წარმოშობის თეორიული წინასწარმეტყველებები თითქმის აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა დაკვირვებებს და ეს არის სწორედ კაცობრიობის მეცნიერული აზრის ტრიუმფი, ანუ მარტო გონებით, ცარცით და დაფით შეგვიძლია ვთქვათ, თუ როგორ დაიბადა სამყარო, როგორ ვითარდება ის და რა მოელის მას,“ — აღნიშნა მეცნიერმა.

მეცნიერული აზრის მეორე დიდი ტრიუმფი, რომელზეც მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა, ეს არის ე.წ. ჰიგსის ბოზონის („ღვთიური ნაწილაკი“) აღმოჩენა დიდ ადრონულ კოლაიდერზე (CERN). რატომ არის ჰიგსის ნაწილაკის დამზერა ასეთი მნიშვნელოვანი? საქმე ისაა, რომ ამ ნაწილაკის აღმოჩენით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ისეთი ფუნდამენტური ცნების წარმოშობის მექანიზმი, როგორიცაა მასა.

მეცნიერმა პოპულარული ენით ახსნა, რომ ჰიგსის ველი აბსოლუტურად ყველგან არსებობს. მან იგი შეადარა ადრე არსებულ უნივერსალური ეთერის თეორიას და აღნიშნა, რომ ჰიგსის ველი ჩვენზე გავლენას ახდენს, რადგანაც ის ურთიერთქმედებს იმ ნაწილაკებთან, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით (ანუ პროტონებთან, ელექტრონებთან) და შესაბამისად, მას მასას აძლევს. „ეს ის სცენაა, სადაც ჩვენ ყველა ვარსებობთ,“ — განაცხადა მან.

მეცნიერმა აღნიშნა, რომ მის მიერ განმარტებული მეცნიერული აზრის ორი ტრიუმფი არა მარტო ფიზიკოსების კუთვნილებაა: „ჰიგსის ნაწილაკის დამზერა, ისევე როგორც დე-ენ-ემ-ის აღმოჩენა, არ არის მხოლოდ ფიზიკოსებისა და ბიოლოგების კუთვნილება, ეს არის მეცნიერული აზრის და საერთოდ, კაცობრიობის ტრიუმფი, რადგანაც კაცობრიობას გააჩნია მეცნიერული აზრი. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა რაიმე კავშირი დაგვემყარებინა სამყაროს წარსულთან, დღევანდელობასთან და მომავალთან. ამ აზრის გარეშე გვექნებოდა ცარიელი ზღაპრები, რომლებიც თავისთავად კარგი მოვლენაა გონების გავითარების თვალსაზრისით, მაგრამ მითებით (რომელიც ძალიან ლამაზი გამოგონილია) და ზღაპრებით ვერ გაიგებ სინამდვილეს შენი წარმოშობის შესახებ, ვერ გაიგებ რა გელის მომავალში და ვერ დაამყარებ ურთიერთკავშირს, რადგან მითი შეიძლება იყოს უსასრულო რაოდენობის, ხოლო სიმართლე ყოველთვის ერთია,“ — ბრძანა გია დვალმა.

ამ მაგალითების მოყვანის შემდეგ მეცნიერმა განმარტა – რა მნიშვნელობა აქვს საღი აზრის, მეცნიერული აზრის არსებობას. მისი აზრით, მეცნიერული აზრის ბაზისი არის საღი აზრი, რომელიც ჩვენს გონებაში რაღაც

ფორმით მუდმივად მოქმედებს და თავს ავლენს, რადგან უამრავი ინფორმაციიდან ჩვენ ვიღებთ ჩვენთვის საჭირო რაციონალურ საღ აზრს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიფუნქციონიროთ. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ტვინმა იცის, როგორ გაფილტროს არასწორი ინფორმაცია და გაერკვეს „მცდარი ინფორმაციის ტყეში“, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. რატომ უნდა უშვებდეს სამყარო თავის თავში შემეცნებადი ტვინის არსებობას? ამაზე ჯერჯერობით პასუხი არ არსებობს.

მეცნიერმა დასვა კითხვა, რას ვაკეთებთ ჩვენ, როცა სამყაროს შეცნობას ვცდილობთ? და თავადვე უპასუხა, რომ ჩვენ სამყაროს შევიმეცნებთ რაღაც ჩარჩოში, შემდეგ ამას გარკვეული კანონებით აღვწერთ და მას თეორიას ვეძახით. თეორია ყოველთვის ვიღაცის გონებაში იბადება და ეს თეორია რაღაც მომენტში მეცნიერულად აღიარებულ აზრად იქცევა. მაგალითად, ნიუტონის კანონი მის ტვინში დაიბადა. დღეს ის ნიუტონის აზრი კი აღარ არის, არამედ მეცნიერული აზრია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ტვინში ჩასახული მეცნიერული აზრი ეკუთვნის არა მას, არამედ ბუნებას.

ყოველ თეორიას აქვს თავისი გამოყენების არეალი, სადაც ის კარგად მუშაობს. როცა ამ არეალს გასცდები, საჭიროა თეორიის შევსება. მაგალითად, ნიუტონის კანონები კარგად მუშაობს მცირე სიჩქარეებზე, მაგრამ სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას ის უკვე აღარ ფუნქციონირებს და საჭიროა ამ თეორიის გაფართოება. სწორედ ეს გააკეთა ალბერტ ანშტაინმა ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში. „მაგრამ ეს არ არის ძველი თეორიის დანგრევა და მოსპობა. ეს არის უბრალოდ მისი გაფართოება. მეცნიერული თეორიის თვისება ზუსტად ის არის, რომ ის არ კვდება. როგორც კი თეორია ავა მეცნიერული აზრის რანგში, ის უკვე აპრობირებული სიმართლეა. ამის მერე ეს სიმართლე შეიძლება მოდიფიცირდეს უბრალოდ იმიტომ, რომ ის არეალი, სადამდეც ეს სიმართლე მიწვდებოდა, შეზღუდულია,“ — აღნიშნა მეცნიერმა.

ლექციის დასკვნითი ნაწილი შეეხო მეცნიერული აზრის მნიშვნელობას საზოგადოებისათვის. „მთელი ჩვენი პრაქტიკა აჩვენებს იმას, რომ მეცნიერული მიდგომა ჩვენთვის მხოლოდ მნიშვნელოვანი კი არა, გადამწყვეტია. ანუ, როგორც კი კვლევა რაღაცნაირად შორდება მეცნიერულ მიდგომას და საღ აზრს – ხდება კატასტროფა. ეს მარტო მეცნიერულ კვლევაში არ არის. ყველა ის სოციალური კატასტროფები და არადემოკრატიულ საზოგადოებაში „ჩაცურებები“ არის იმის შედეგი, რომ საზოგადოება რაღაც მომენტში საღ აზრს შორდება. რას ვაკეთებთ ჩვენ უნივერსიტეტში? როდესაც სტუდენტი მოდის ჩვენთან, ჩვენ მისგან მაინცდამაინც ფიზიკის ან ბიოლოგიის მკვლევარს კი არ ვამზადებთ, ჩვენ ვზრდით საღად მოაზროვნეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სტუდენტმა უნივერსიტეტიდან უნდა წაიღოს, არის ის, რომ მან ისწავლოს საღად აზროვნება.“ — განაცხადა გია დვალმა.

რამდენად მნიშვნელოვანია მეცნიერება? რამდენად მნიშვნელოვანია კვლევა? ამ კითხვებზე მეცნიერმა სხვადასხვა მოსაზრება, მათ შორის მეცნიერების პრესტიჟის საკითხი განიხილა. მან გააკრიტიკა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თუ სრულუფლებიანი ერი ვართ, მეცნიერება უნდა გვქონდეს, რადგანაც ის სხვა ქვეყნებს აქვთ. „რა თქმა უნდა, ეს სრულიად ლეგიტიმური აზრია და ვიზიარებ, რომ მეცნიერება ეს პრესტიჟის და თვითდამკვიდრების საქმეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მეცნიერების არსებობა ქვეყანაში აუცილებელია იმიტომ, რომ არსებობდეს ინტელექტუალური ატმოსფერო. ეს არის პრაქტიკა, რომელსაც გვიჩვენებს უზარმაზარი მსოფლიო გამოცდილება. საუკეთესო ვარიანტია, როცა სტუდენტი ცოდნას იღებს მკვლევარისგან. რატომ? იმიტომ, რომ მკვლევარი ყოველთვის დაკავშირებულია მეცნიერულ აზრთან. ცხადია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც კვლევას ნაკლებად ეწევიან, მაგრამ მათ შეუძლიათ სტუდენტი საღ აზრს აზიარონ. ასეთ შემთხვევაში კვლევა ჩანაცვლდება მოაზროვნე ადამიანით. მე მეცნიერული აზროვნება არ დამყავს იქამდე, რომ სპეციალისტს მაინცდამაინც წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში ჰქონდეს გამოქვეყნებული პუბლიკაციები. აქ ლაპარაკია მოაზროვნეზე ადამიანზე.

ის ფაქტორი, რომ ჩვენს ქვეყანაში ხელი უნდა შევუწყოთ მეცნიერული აზრის განვითარებას, კაპრიზი არ არის. ეს არის ყოველდღიური მოთხოვნა, რადგანაც მეცნიერების განვითარების გარეშე სტუდენტებს ვერ ვასწავლით მეცნერულ და, შესაბამისად, საღად აზროვნებას. ეს არ ეხება მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას და საერთოდ მეცნიერებას, ეს არის ადამიანის მოღვაწეობის მთელი სფერო, ამიტომ ამ საკითხზე მაქსიმალური აქცენტი უნდა გაკეთდეს. ჩვენ არ ვართ ძალიან დიდი ბუნებრივი რესურსების პატრონი. შესაბამისად, ჩვენი რესურსი უნდა გახდეს ინტელექტი, რომელიც ქვეყანას უნდა დაეხმაროს!“ — ამ სიტყვებით გია დვალმა საჯარო ლექცია დაასრულა.

P.S. გია დვალის ლექცია სრული ანშლაგის ფონზე მიმდინარეობდა. მისი მოსმენის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ თავდაპირველად შერჩეულმა აუდიტორიამ ვერ დაიტია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ლექციისთვის სააქტო დარბაზი გამოყო. განსაკუთრებით სასიხარულო იყო მსმენელთა შორის უამრავი სტუდენტის ნახვა, რომელთა დიდი ნაწილი დარბაზის კიბეებზე ისხდა და თვალს ადევნებდა გია დვალსა და ქართველ მეცნიერთა შორის ლექციის შემდეგ გამართულ კითხვა-პასუხსა და დისკუსიას. კითხვების დასმაში სტუდენტებიც აქტიურობდნენ. მეცნიერი კმაყოფილი დარჩა დარბაზთან ინტერაქციით და განაცხადა, რომ თუ საზოგადოების მოთხოვნა იქნება, ამგვარ ლექციას უახლოეს მომავალში კიდევ ჩაატარებს.

როგორია ფსიქოლოგების „რეცეპტი“ საახალწლოდ კარგი განწყობის შესაქმნელად

მაია კალანდარიშვილი

ნატო ოგოლაძე

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ წინასაახალწლოდ უგუნებოდ ვართ? თუ წინ სერიოზული გამოცდები გველის, ან სამსახურში დატვირთული გრაფიკია და შესაძლოა იმდენად დატვირთულიც, რომ 31 დეკემბერს ახალ წელს სახლში „ერთი ნაბიჯით“ შეიძლება მივასწროთ. უგუნებობის მიზეზი კიდევ შეიძლება ბევრი რამ იყოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ როგორ სოციალურ გარემოში ვცხოვრობთ? გარდა ამისა, როგორია ჩვენი შემოსავალი? რამდენს მოითხოვს საახალწლო „კალათის“ შევსება? რა სურვილების ასრულებას ვუყურებთ პესიმისტურად? და ა.შ. ხალხური გამონათქვამი — „ფეხი იმდენზე უნდა გაშალო, რამდენზეც საბანი გწვდება“, მაინც და მაინც, გამამხნევებლად არ ჟღერს, ისევე, როგორც ფსიქოლოგების „ოქროს წესი“ — „თუ ვერ ცვლი სიტუაციას, უნდა შეცვალო დამოკიდებულება“, რაც, არაერთი ადამიანის პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასე მარტივად შესასრულებელი არ არის. თუმცა, გამოსავალი მაინც მოქმედებაშია.

როგორია ფსიქოლოგების „რეცეპტი“ საახალწლოდ კარგი განწყობის შესაქმნელად?

„როდესაც „სტიმულების“ საშუალებით ვცდილობთ კარგ გუნებაზე მოსვლას, ბედნიერების ჰორმონი გამომუშავდება. ჩვენ თვითონაც შეგვიძლია ხელოვნური ბედნიერების სტიმულების შექმნა. მსუბუქი აერობიკა, მუსიკო-თერაპია ამის ერთერთი საშუალებაა. ასევე, შეგვიძლია ცოტა ხნით დავბრუნდეთ ბავშვობაში. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ მე ჩემს ზრდასრულ ქალიშვილებს სურვილი ავუსრულე და ახალ წელს სახლში თოვლის ბაბუა მოვიწვიეთ. ეს იყო საოცარი მოვლენა და ახალი წლის ღამემ ძალიან მხიარულად ჩაიარა“, — აღნიშნავს ფსიქოლოგი მაია კალანდარიშვილი.

ამბობენ, როგორი განწყობითაც შეხვდები და როგორც გაატარებ ახალ წელს, მთელი წელიც ისეთი გექნებაო — ამ გავრცელებულ მოსაზრებას ბევრი ცრუ რწმენად აღიქვამს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს შეგონება, ნაწილობრივ, რეალურია. ნებისმიერი ადამიანი ახალ წელს საინტერესო სიახლეებისა და მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინით ხვდება. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, მომავალ წელზე ზეგავლენას სწორედ ადამიანის მოლოდინის შინაარსი ახდენს.

„დიდი მნიშვნელობა აქვს, ადამიანი რა მოლოდინს დებს გარემოში, რადგან იგი შემდეგ იმ მოლოდინის გამართლებაზე ან არ გამართლებაზეა ორიენტირებული. მთელმა წელმა კარგად რომ ჩაიაროს, დადებითი განწყობით უნდა შეხვდეთ ახალ წელს. პრობლემები ყველა ჩვენთაგანს აქვს, მაგრამ მათ მოგვარების კუთხით უნდა შევხედოთ, მომავალს კი — ოპტიმისტურად. პირველ რიგში, მოლოდინები არ უნდა გვქონდეს ძალიან დიდი და არარეალური, რადგან, მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომავალი წლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უფრო მეტი იქნება, ვიდრე შესაძლებელია, რომ ყოფილიყო. არარეალური მოლოდინის არსებობა შემდეგ გარემოს მიმართ აგრესიასაც იწვევს. მე, როგორც ფსიქოლოგმა, შემიძლია ვთქვა, რომ ახალ წელს სახალისო განწყობის შესაქმნელად დამოკიდებულება უნდა გავიუმჯობესოთ არსებული მოცემულობის მიმართ“, — განმარტა ფსიქოლოგმა ეკა ფირცხალავამ.

ფსიქოლოგები, ასევე, აცხადებენ, რომ ახალი წელი თავად არის ყველაზე კარგი მიზეზი იმისათვის, რომ ადამიანებს კარგი განწყობა შეექმნათ, მიუხედავად გამოცდების, სამსახურეობრივი დატვირთვისა თუ ფინანსური შესაძლებლობებისა და ა.შ. ახალი წლის დღესასწაულს ხომ ძალიან ღრმად აქვს მათ ქვეცნობიერში ფესვები გადგმული და იგი, უპირველესად, სწორედ სასიამოვნო სიახლეებთან და უკეთეს მომავალთან ასოცირდება... მასასადამე, განწყობისთვის ხელს არაფერი უნდა გვიშლიდეს!

ეკა ფირცხალავა

„ახალი წლის დღესასწაული ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენაა. მას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკაზე. ქართულ რეალობაში ეს დღესასწაული ასოცირდება თოვლის ბაბუასთან, რომელსაც მოაქვს საჩუქრები, ზღაპრების ასრულებასთან, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებასთან... რა ასაკშიც უნდა იყოს ადამიანი, ეს ფაქტორები მასზე მაინც დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა, ახალი წელი დაკავშირებულია რელიგიურ დღესასწაულებთან – შობასთან, ბარბარობასთან, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღესთან. ამ ყველაფერს ძალიან დიდი ტრადიციები აქვს და ადამიანის ქვეცნობიერში მყარად არის ფესვებგადგმული, რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის განწყობაზე“, — გვითხრა მაია კალანდარიშვილმა.

მაშ, ასე! რამდენიმე დღეში ახალი წელია, თავისი სასიამოვნო და სახალისო რიტუალებით, ტრადიციებით, სიახლეებით, ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ახლობლებისგან მიღებული საუკეთესო სურვილებით. როგორც გაირკვა საახალწლოდ კარგი განწყობის შექმნაზე ჩვენი ქვეცნობიერებაც ზრუნავს, მაგრამ რაც შეეხება საუკეთესო განწყობას, ამისათვის გარემოს ფერადი ფერებით გახალისება, მუსიკო-თერაპია და ტრადიციული საახალწლო რიტუალების განხორციელებაა საჭირო.

ინიციატივები ფაკულტეტებიდან

ახალ წელზე ორიენტირებული იმედები

ახალი ინიციატივებისა და გეგმების განხორციელებაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, როგორც წესი, ახალი სასწავლო წლიდან ზრუნავს, მაგრამ ახალი წლის დამდეგისთვის მაინც ყველა კონკრეტდება — თუ რა დარჩა მომავალი წლიდან გასაკეთებელი. თანაც, ვინაიდან ახალი წლის მოახლოება მათ საკუთარი სურვილებისა და ფანტაზიების გამოხატვის მეტ სტიმულს აძლევს, ამიტომ ძველი წლის გაცილებისას და ახლის შეხვედრის მოლოდინში ყველა ახდენს კონცენტრირებას სამომავლო გეგმებზე. ჩვენი მიზანიც სწორედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურათა ხელმძღვანელებისგან ამ სამომავლო გეგმებისა და ინიციატივების მოსმენა გახლავთ.

მომავალ წელს აბსოლუტურად განახლებული პროგრამებით ვხვდებით

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ახალი სასწავლო წელი სექტემბრიდან იწყება, ამიტომ ჩვენ თუ ვისაუბრებთ მომავალ წელს განსახორციელებელ პროექტებზე, სიახლეებსა და მოსალოდნელ ცვლილებებზე, იგულისხმება, რომ ეს ყველაფერი ხდება არა იანვრიდან, არამედ მომავალი წლის სექტემბრიდან. პირველი, რაც მნიშვნელოვანია, არის ის, რომ მომავალ წელს აბსოლუტურად განახლებული და აკრედიტებული პროგრამებით ვხვდებით. ეს დიდი წარმატებაა, რადგან გასულ წელს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია გავიარეთ. მიმდინარე წელს კი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზეც მივიღეთ აკრედიტაცია.

სიახლეები იგეგმება რამდენიმე მიმართულებით. ჩვენ გვექნება განახლებული არქეოლოგია-პალეანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა, რომელიც განხორციელდება თსუ-ის პროფესურისა და სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის ერთობლივი მონაწილეობით. არქეოლოგიის მიმართულებით სტუდენტებს ხელმძღვანელობას გაუწევენ თსუ-ის პროფესორები და მუზეუმის სპეციალისტები დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. კვლევებში ჩაერთვებიან ჩვენი სტუდენტები — პალეანთროპოლოგიის ქართული სკოლა ხომ მსოფლიოში განთქმულია.

2013 წელს აკრედიტაციას გაივლის მაინორ-პროგრამები. საუბარია 2 ან 3 დამატებით პროგრამაზე, რომლითაც, გვინდა, სტუდენტებს საშუალება მივცეთ — სხვადასხვა სპეციალობის კომბინირება მოახდინონ და უფრო ადვილად იპოვონ თავიანთი ადგილი შრომის ბაზარზე. ერთერთი ასეთი პროგრამა, რომელიც უკვე განხილვის პროცესშია, არის ევროპისმცოდნეობა, რომლის არჩევა შეუძლიათ არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებსაც. ვმუშაობთ მაინორ-პროგრამაზე საგამომცემლო საქმეში, რომელიც ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს განსაკუთრებით დაინტერესებთ. ჩვენ გვინდა, მაინორ-პროგრამის შემუშავება თარგმანის მიმართულებითაც.

ფაკულტეტზე წინასაახალწლო განწყობაა. ოპტიმიზმით ვხვდებით ახალ წელს, რომელიც ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გვპირდება.

ვაპირებთ სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფრო დახვეწას

ირაკლი ბურდული,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— მომავალ წელს ვაპირებთ სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფრო დახვეწას. ეს იქნება სერვისული გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რაც სხვადასხვა ტიპის ტრენინგებისა თუ „ვორკშოფების“ გზით ჩვენი თანამშრომლების გადამზადებას ითვალისწინებს. თუმცა წვრილმანი პრობლემები, რომელიც სტუდენტების მომსახურების სერვისს თან ახლავს, ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების დაუხვეწელობამ შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია დღეს ამ საკითხზე სერიოზულად მუშაობს. უკვე დაწყებულია და შეიცვლება სტუდენტთა მომსახურების სამსახურში მომუშავე პერსონალის „ვიზუალიც“. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ისინი სტუდენტებს გარკვეული „გარეგნული გამოხატულებით“ მოემსახურებიან. ლურჯი ყელსაბამი და პირის იდენტიფიკაციისთვის განკუთვნილი მანიშნებელი სტუდენტთა მომსახურების სამსახურს კიდევ უფრო თანამედროვეს გახდის.

ვაპირებთ სტუდენტთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო კურსის დაგეგმვაში. გვინდა, კორექტივები შევიტანოთ სტიპენდიების განაწილების წესშიც (ამას სათანადო იურიდიული პროცედურები სჭირდება) და ამ საქმეში სტუდენტებიც ჩავრთოთ.

მე-8 გვერდზე

ინიციატივები ფაკულტეტებიდან

ახალ წელზე ორიენტირებული იმედები

მეშვიდე გვერდიდან

მომავალი წლიდან სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ერთად შეიქმნება სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი. ეს იქნება არასაუნივერსიტეტო ცენტრი (მოქმედი, როგორც არაკომერციული, იდეალური მიზნის მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ საკითხებსა და პრობლემებს მეცნიერულად დაამუშავებს და სახელმწიფოს სათანადო რეკომენდაციებს მისცემს ამ სფეროს კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.

გაზაფხულის სემესტრიდან გვექნება სასერტიფიკატო პროგრამა ეკონომიკურ სამართალში, რომელსაც იენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად განვახორციელებთ. ნებისმიერ სტუდენტს ექნება საშუალება, ამ პროგრამაზე ისწავლოს. მომავალი წლიდან ორი მიმართულებით ვგეგმავთ სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბებას: ამ სემესტრში ქართველი, ამერიკელი და იტალიელი მეცნიერების მონაწილეობით გავაკეთეთ სასერტიფიკატო პროგრამა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში. მომდევნო წლიდან ვგეგმავთ ერთწლიან სამაგისტრო პროგრამას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართალში. ეს იქნება 60 ან 90-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედება უმაღლესი განათლების შესახებ კანონში გარკვეული ცვლილების შეტანას უკავშირდება. თუმცა ვიმედოვნებ, რომ განათლების სამინისტროსთან ერთად ამ ცვლილების პროექტი დამუშავდება, რასაც შემდგომ პარლამენტი ალბათ მიიღებს. ეს ერთერთი სერიოზული ხარვეზია მოქმედ კანონმდებლობაში, რომლის გამოსწორება მნიშვნელოვანია იურიდიული განათლების სისტემაში.

მეორე ერთწლიანი სასერტიფიკატო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ, ძვირად ღირებულია და იგი პეპერდაინის (კალიფორნია) უნივერსიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება. მეორე მხარე თანახმაა, გავაკეთოთ ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტების მოგვარების სფეროში, რომელიც იქ არსებული სამაგისტრო პროგრამის ჩვენს რეალობაში ადაპტაციისა და „ტრანსპლანტაციის“ გზით მოხდება. ეს პროგრამა ამერიკაში ძვირად ღირებულია, მაგრამ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, რომ ჩვენთან იგი შედარებით ხელმისაწვდომ ფასად იქნეს შეთავაზებული.

კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდება იმ კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ შევქმენით ფაკულტეტზე. უმეტესი მათგანისა ძალზე წარმატებულად ახორციელებს საქმიანობას, რაც ხდება კიდეც საფუძველი იმისა, რომ ქართულ იურიდიულ სფეროში, ძირითადად, სწორედ ჩვენი პროფესორები არიან ერთგვარი ტაქტის მიმცემნი. სწორედ ჩვენ მიერ იქმნება ის ძირითადი პროდუქტი (სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა თუ სხვა იურიდიული შრომების სახით), რომლითაც ქართული იურიდიული საზოგადოება (დაწყებული სტუდენტიდან, მოსამართლით დამთავრებული) საზრდოობს. რაც მთავარია, ჩვენ მოვახერხეთ ამ პროცესში იურიდიული ფაკულტეტის საუკეთესო აკადემიური უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტების ინტეგრირება. ეს კი ამ საქმეს კიდევ უფრო ღირებულს და სწრაფად განვითარებადს ხდის. სნავლება და კვლევა ურთიერთჩანაცვლებადი და ერთიმეორეზე დამოკიდებული პროცესია. სწორედ ამიტომ ეს პროცესი წარმატებული ვერ იქნება, თუკი იგი პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების ტანდემფორმატში არ წარიმართა. წინა წელს დაწყებულმა ამ პროცესმა გაამართლა. ამიტომ მომდევნო წელს კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამახვილდება.

იურიდიული ფაკულტეტი ყველაფერს გააკეთებს, რათა მან მომდევნო წელსაც ქართულ იურიდიულ ბაზარზე კვლავ შეინარჩუნოს პირველობა. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს, ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს, ჩვენს აკადემიურ პერსონალს და ყველა მოწვეულ ლექტორს წარმატებულ და ბედნიერ წელს ვუსურვებ.

ფაკულტეტი იწყებს აქტივობების იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში

ალექსანდრე ცისკარიძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— მომავალ წელს განსაკუთრებული ინტერესით ველოდებით. ფაკულტეტი იწყებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში. გაზაფხულის სემესტრიდან, მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, საბაზისო განათლების ეტაპზე, ამოქმედდება ახალი სასწავლო კურსი — „კლინიკური აზროვნების საფუძვლები“. სასწავლო კურსი შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩვენს ჰოლანდიელ პარტნიორებთან ერთად, უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორ ოლე ტენ ცატეს ხელმძღვანელობით. მოცემული კურსის დანერგვა სიახლეს წარმოადგენს თვით ევროპული სამედიცინო სკოლებისთვისაც, ამდენად, ჩვენთვის, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული სიახლის განხორციელება.

გარდა ამისა, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გრანადის უნივერსიტეტთან (ესპანეთი) თანამშრომლობით დაიხვეწა სასწავლო კურსი „სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები“.

უმბრიის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) კოლაბორაციის შედეგად, მომავალი წლიდან მედიცინის ფაკულტეტი მიღებას გამოაცხადებს განახლებულ სამაგისტრო პროგრამაზე — ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'', სტუდენტებისთვის გათვალისწინებული გვაქვს უცხოელი პარტნიორების მოწვევა და საზაფხულო სკოლის გამართვა.

მომავალი წლიდან უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ ჩვენს დოქტორანტებსაც. შერჩეული კანდიდატები სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევით კომპონენტების ნაწილს ტრომსოს უნივერსიტეტში (ნორვეგიაში) განახორციელებენ. აქტიურად ვმუშაობთ ტრომსოს უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებაზე. იმედი გვაქვს, მომავალ წელს ამ მიმართულებითაც წარმატებას მივაღწევთ.

ფაკულტეტი, ასევე, გეგმავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გაძლიერებას, პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში პროფესურის ჩართვას.

პროექტების ფარგლებში, მომავალი წლიდან, ვაპირებთ ახალი სახელმძღვანელოების შეძენას, მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების თარგმნას და გამოცემას ჩვენი სტუდენტებისთვის.

იმედი გვაქვს, მედიცინის ფაკულტეტისთვის მომავალი წელი ნაყოფიერი აღმოჩნდება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში სამედიცინო განათლების ჰარმონიზაციას ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

გვინდა, ხელი შევუწყოთ სტუდენტებს, რათა შეძლონ მუშაობაც და ლექციებზე სიარულიც

აკაკი ხელაძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი იქნება უპირველესად სტუდენტი, პროფესორი და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, ანუ იგივე, რაც ჩემს საარჩევნო კონცეფციაში იყო გაცხადებული.

მნიშვნელოვანი იყო საბაკალავრო დონეზე სასწავლო პროგრამების გადახედვა, რის შედეგადაც ეს პროგრამები უფრო რეალისტური გახდა. სტუდენტების მხრიდან დანახულ ხარვეზებზე მოვახდინეთ რეაგირება და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მომავალი სემესტრიდან მოხდება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამების გადახედვა-გადახალისება. გვინდა, ისეთი სასწავლო პროგრამები გვქონდეს, რომელიც მიმზიდველი იქნება არა მარტო შრომის ბაზრისთვის, არამედ სტუდენტებისთვისაც. საინტერესო კვლევას ვატარებთ მარკეტინგის და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრასთან ერთად. გამოვკითხეთ III და IV კურსის დაახლოებით 1000-მდე სტუდენტი, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებულია და ამის გამო მათი უმრავლესობა სემინარებზე სიარულს ვერ ახერხებს. ჩვენ კი არ გვინდა, რომ სტუდენტმა სამსახურის ხარჯზე სწავლა ვერ მოახერხოს. თუ კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების უმრავლესობა მუშაობს და მათთვის მისაღებია დღის მეორე ნახევარში ან საღამოს სწავლება, მაშინ ფაკულტეტზე ეს ცვლილებაც განხორციელდება. გვინდა, ხელი შევუწყოთ სტუდენტებს, რომ პარალელურად შეძლონ მუშაობაც და ლექციებზე სიარულიც.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა იენის უნივერსიტეტთან. პირველმა ნაკადმა გვიჩვენა, რომ პროგრამა საკმაოდ წარმატებული და საინტერესოა, რამაც გამოიწვია სტუდენტების 3-ჯერ მეტი რაოდენობის მიღება. მომავალი წლიდან კიდევ ერთი სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ფორმირების დროს მკაფიოდ გამოვყავით მუხლი პროფესორ-მასწავლებლებისთვის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გაზრდის შესახებ. პრაქტიკულად, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. პროფესორ-მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ფინანსური რესურსი, რათა სამეცნიერო კვლევები უპრობლემოდ განახორციელონ. ასევე, ვაპირებთ პროექტის მომზადებას, რომელიც აკადემიურ პერსონალს მკაფიო მიმართულებას მისცემს, განსაზღვროს საკუთარი საქმიანობის ძირითადი კომპონენტები, თუ რა ევალება მას ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში.

ჩვენ გავზრდით თანხებს საერთაშორისო კონფერენციებში არა მარტო პროფესორთა, არამედ სტუდენტთა მონაწილეობისა და აქტივობებისთვისაც. ამ მხრივ ეს წელი წარმატებული გვქონდა. ყველა სტუდენტს ჰქონდა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ღონისძიებებში. შეძლებისდაგვარად ვიზრუნეთ მათ დაფინანსებაზეც. მომავალი წლიდან ამ მიმართულებით დაფინანსება გაორმაგებულია. იმედი გვაქვს, ახალი წელი კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართება პირველი საფაკულტეტო კონფერენცია

რამაზ ბოჭორიშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2013 წლიდან ამოქმედდება წინასწარი რეგისტრაცია. სტუდენტი, პროფესორი და ადმინისტრაცია სასწავლო სემესტრს დაგეგმავს წინასწარ, რის შედეგადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი პრობლემები აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში.

უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართება პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვა ფაკულტეტის ყველა დოქტორანტი, სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. კონფერენცია ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად ჩატარდება. იუბილესთან დაკავშირებით გამოვა „მათემატიკა" - სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი მოსწავლეების და მასწავლებლებისთვის, რომელიც საბავშვო უნივერსიტეტის უკვე ტრადიციულ ღონისძიებებთან ერთად, კიდევ უფრო მეტ პოპულარობას მოუტანს ჩვენ უნივერსიტეტს.

2013 წელს მოხდება სასწავლო ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტებისა და მასწავლებლების სამუშაო პირობებს. ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება საინტერესო სტუდენტური კონკურსები, როგორიცაა, მაგალითად: სტუდენტური ნაშრომების კონკურსი და სტუდენტური ინოვაციების კონკურსი. მომავალ წელს ეს ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი გახდება და კიდევ უფრო მეტ სტუდენტს ექნება საშუალება თავისი პოტენციალის გამოვლენის.

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თანამშრომელს, მათ ოჯახებს ვულოცავ დამდეგ 2013 წელს! სიხარული, წარმატება, ნატვრის ახდენა და სხვა მრავალი სიკეთე მოეტანოს მათთვის დამდეგ ახალ წელს!

მოამზადა **თამარ დადიანმა**

ახალ რეალობაში პროფესურას სასიკეთო ცვლილებების მოლოდინი აქვს

საქართველოში განათლება და მეცნიერება ერთერთი ყველაზე სტრატეგიული სფეროა და ყველა ხელისუფლება, როგორც კი ქვეყნის სათავეში მოდის, პრიორიტეტად სწორედ განათლებას ასახელებს. 1 ოქტომბრის შემდეგ, არჩევნების დასრულებისთანავე, ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ განათლების დონის გაუმჯობესება სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავია. მათი თქმით, წინა ხელისუფლების დროს დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს; განათლებისა და მეცნიერების ახლად დანიშნული მინისტრის გიორგი მარგველაშვილის აზრით, განათლების სფერო პოლიტიზირებული იყო და მასზე ტოტალური კონტროლი ხორციელდებოდა, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლებისკენ სწრაფვის არსს. ახალმა მინისტრმა წინა პლანზე წამოსწია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის საკითხიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც მოელის. მათთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის პრიორიტეტი უნივერსიტეტის ავტონომიურობასთან ერთად სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და კვლევების ხელშეწყობაა. ისინი ამ პრობლემების მოგვარებას ერთმნიშვნელოვნად ანიჭებენ უპირატესობას.

მარიამ ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი:

— განათლების სისტემაში დღეს რომ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა, ეს ყველამ ვიცით, ამიტომ, მიმაჩნია — სასწრაფოდ უნდა შეიქმნას პროფესიონალებისგან შემდგარი კომისია, რომელიც, პირველ რიგში, შეისწავლის — რა მდგომარეობაა დღეს ამ სფეროში. კომისიამ უნდა შეიმუშაოს თავისი წინადადებები, რომლის განხილვაში ჩაერთვება მთელი საზოგადოება, მათ შორის, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და პროფესორები. ჩემი აზრით, აუცილებელია, სკოლებში გამოსწორდეს მდგომარეობა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში.

განათლების სისტემაში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და ამას დრო დასჭირდება. ვთვლი, რომ რეფორმები უნდა განხორციელდეს ქვემოდან ზემოთ. არ შეიძლება ეს სფერო ვიღაცის ინტერესებს მოერგოს. მასში განხორციელებული ცვლილებები საზოგადოების განსჯის საგანი უნდა გახდეს. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენს განათლების სისტემასაც ეშველება.

იაგო კაჭკაჭიშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი:

— ჩემთვის მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობას შეეხება. მინისტრმა სრულიად არაორაზროვნად მიუთითა, რომ მთავარი სტრატეგია განათლების სამინისტროს მხრიდან იქნება ავტონომიურობის გაზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამინისტრო მინიმალურად ჩაერევა საგანმანათლებლო ინსტიტუტების მართვასა და მოქმედების სტრატეგიის განსაზღვრაში. ამ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იქნება მხოლოდ მართვის პროცესში ხელშემწყობი ორგანო, რომელიც საგანმანათლებლო სასწავლებლებს დაეხმარება გარკვეული პროექტების ან სხვა სახის მენეჯმენტის, ანდა მონიტორინგის გარკვეული მექანიზმების განხორციელებაში. მაგრამ, ამავე დროს, სამინისტროს მხრიდან არ განხორციელდება დიქტატი სასწავლო ორგანიზაციებზე. პირადად მე ამის მოლოდინი მაქვს.

რასაკვირველია, ეს ერთგვარად გამოწვევაც არის, რადგან, ერთი მხრივ, ავტონომიურობის უზრუნველყოფა კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, სასწავლო დაწესებულებების პასუხისმგებლობის ხარისხი იზრდება, ვინაიდან მათ გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად მოუწევთ. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი არ აღმოჩნდეს მზად ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირებისთვის. ასეთ შემთხვევაში, თუ სასწავლებელმა რეალობას თვალი ვერ გაუსწორა, შესაბამისად, კონკურენციაში დამარცხდება. ჩემი აზრით, თსუ, რომელიც დღეს არსებული აკადემიური პერსონალით არის წარმოდგენილი, არსებითად და ძირითადად, უნარიანია ავტონომიურ რეჟიმში იარსებოს და ამიტომ მას მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოს.

ქეთევან მარშავა,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— ქვეყნის მთავრობის მიერ განათლება და მეცნიერება დეკლარირებულია პრიორიტეტულ დარგად. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე, ეკონომიკური გუნდი, ძირითადად, წარმოდგენილია მეცნიერებით, რომლებიც აღიარებენ ამ სფეროს აქტუალობას ტრანსფორმირებად საზოგადოებაში, იცნობენ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების შედეგების სუსტ და ძლიერ მხარეებს, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე დაშვებულ შეცდომებს.

სწორედ ეს გარემოება და მოქმედი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებული სამეცენატო საქმიანობის მასშტაბები ამ სფეროში განაპირობებს მოლოდინს, რომ მთლიანად საგანმანათლებლო სისტემაში და, კონკრეტულად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემჭიდროებულ ვადებში მოიხსნება სოციალური დაძაბულობა, მოხდება უნივერსიტეტის დაფინანსების ნორმალიზაცია, საგრძნობლად გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ვთვლი, რომ დაფინანსების წყაროებში სახელმწიფოს დომინანტურმა პოზიციამ არ უნდა შეამციროს უნივერსიტეტის ავტონომიურობა, პირიქით, საუნივერსიტეტო განათლება უნდა აიგოს ავტონომიის გაფართოების საფუძველზე.

ცხადია, მეცნიერული ძიების თავისუფლებას თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე — გამოხატულს თითოეული მათგანის სურვილსა და შესაძლებლობაში აიმაღლოს პროფესიული ცოდნა, იყოს კეთილსინდისიერებისა და ზნეობრიობის მატარებელი.

მზექალა შანიძე,
აკადემიკოსი:

— ჩვენთვის, მეცნიერებისთვის, ეს მოლოდინები შეიძლება ახალი იყოს, მაგრამ მოთხოვნები ძველია. ჩვენ ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე წინა ხელისუფლების დროსაც ვსაუბრობდით, მაგრამ არავინ გვისმენდა. განათლება და მეცნიერება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი განცალკევება არ შეიძლება, მაგრამ, ამავე დროს, მათი კავშირი სწორად უნდა განისაზღვროს.

პირველ რიგში, სკოლამ ბავშვს ისეთი განათლება უნდა მისცეს, რომ იგი უმაღლეს სასწავლებელში აკადემიურად, ფსიქოლოგიურად და მენტალურად უკვე მომზადებული მოვიდეს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავუბრუნდეთ სწავლების იმ მოდელს, რომელიც ოდესღაც გვქონდა. ჯერ კიდევ 30 წლის წინ ჩემს სტუდენტებს ვეუბნებოდი, რომ ჩვენთან სწავლა, დაახლოებით, შუა საუკუნეების დონეზე მიმდინარეობს.

ჩემი გამოცდილების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ, პირველ რიგში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის უფრო მჭიდრო კავშირია საჭირო. ახალი რეფორმის შემდეგაც ვმუშაობდი ტესტების გასწორებაზე და ვერ დავინახე, რომ სკოლის მოსწავლეების ცოდნის დონე გაზრდილია. ჩემი აზრი მაქვს იმაზეც, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს უმაღლეს სასწავლებელში მომავალი პედაგოგიური კადრების მომზადება. ვთვლი, რომ ის საბაზისო ცოდნა, რომელიც მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა გადასცეს, აუცილებლად უმაღლეს სასწავლებელში უნდა მიიღოს სტუდენტმა.

განათლების სფეროში, რა თქმა უნდა, ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ საჭიროა როგორც მეთოდოლოგიური, თეორიული, ისე ორგანიზაციული გააზრება.

მაგალითად, სამეცნიერო ინსტიტუტები რომ დაშალეს და უნივერსიტეტებს დაუქვემდებარეს, სწორია ეს თუ არა, ამაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე მარტივია. რა თქმა უნდა, უმაღლეს სასწავლებლებს შეიძლება ჰქონდეთ კვლევითი ერთეულები, ოღონდ სრულფასოვანი. გარდა ამისა, პრინციპულად უნდა განისაზღვროს — ურთიერთობა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსა და უნივერსიტეტს შორის.

ჩვენ ველოდებით, რომ დამთავრდება ჩვენი მეცნიერების უგულებელყოფა; ველოდებით, რომ დაგვიძახებენ და რჩევას გვკითხავენ. მაგალითად, თსუ-ში ფილოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა სამეცნიერო ერთეულები — ტოპონიმიკის ლაბორატორია და აკაკი შანიძის მიერ დაარსებული ლაბორატორია „ორიონი“. სამწუხაროდ, დღეს „ორიონი“ არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, ხოლო ფორმალურ ხელმძღვანელად მე ვითვლები. ლაბორატორიამ, რომელიც ხელნაწერთა გამოქვეყნებაზე მუშაობდა, თავისი სამეცნიერო საქმიანობა 2006 წლიდან შეაჩერა. რაც შეეხება ტოპონიმიკის ლაბორატორიას, მისი დახურვა დანაშაულია. ამ ყველაფერზე დაფიქრებაა საჭირო და შეცდომების გამოსასწორებლად შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას მოველი.

ირმა რატიანი,
ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი:

— განათლების სფეროში ცვლილებები საჭიროა და ახალი ხელისუფლების პირობებში ამ მიმართულებით მოლოდინი ნამდვილად არსებობს, მათ შორის გამოვყოფდი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას და უნივერსიტეტის პროფესურის ღირსების დაბრუნების საკითხს.

ჩემი აზრით, უნივერსიტეტის სახეს წარმოადგენს მისი პროფესურა და ამიტომ იგი უნივერსიტეტში ყველაზე დაფასებული და ღირსეული პერსონა უნდა იყოს. არა მგონია, დღეს ვინმეს ახსოვდეს რომელიმე დიდი მეცნიერის მოღვაწეობის დროს — თუ ვინ მუშაობდა ადმინისტრაციაში. ასე რომ, ამ წოდებამ უნდა დაიბრუნოს თავისი ღირსება და აკადემიური თავისუფლება, რათა დაგეგმოს სწავლების კურსი ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. ამასთან, პროფესორის ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მის სტატუსს — ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანაში და ჩვენთანაც ასევე უნდა იყოს.

რეფორმის ახალი ტალღის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს სამეცნიერო კვლევებს. მე ვხელმძღვანელობ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს და შემიძლია ვთქვა, რომ ანაზღაურება, რომელსაც მეცნიერები იღებენ, შეურაცხმყოფელია ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ინტელექტუალურ სარბიელზე მოღვაწეობენ. ინტელექტი ხომ მნიშვნელოვანია ისეთი პატარა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის, როგორიც საქართველოა. ამის რესურსი ჩვენთან, საბედნიეროდ, არსებობს და მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას შეეძლება საკუთარი ღირსების დაცვა და საერთაშორისო დიალოგში ჩართვა. ამიტომ ამ ადამიანებს ძალიან უნდა მოვუფრთხილდეთ, თორემ დავდგებით ინტელექტუალური კრიზისის წინაშე, ეს კი სავალალო იქნება ქვეყნისთვის. ვისურვებდი, რომ ახალმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მეცნიერების განვითარებას ყველა თვალსაზრისით.

თუ სასწავლებელმა რეალობას თვალი ვერ გაუსწორა, შესაბამისად, კონკურენციაში დამარცხდება. ჩემი აზრით, თსუ, რომელიც დღეს არსებული აკადემიური პერსონალით არის წარმოდგენილი, არსებითად და ძირითადად, უნარიანია ავტონომიურ რეჟიმში იარსებოს და ამიტომ მას მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოს.

განათლების სფეროში ცვლილებები საჭიროა და ახალი ხელისუფლების პირობებში ამ მიმართულებით მოლოდინი ნამდვილად არსებობს, მათ შორის გამოვყოფდი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას და უნივერსიტეტის პროფესურის ღირსების დაბრუნების საკითხს.

მოამზადა **შურთხია ბეროშვილმა**

რა ცვლილებებს ელიან სტუდენტები უმაღლესი განათლების სფეროში

უმაღლესი განათლების სისტემაში ცვლილებებისადმი მოლოდინი დიდია. რისი შეცვლა სურთ ახალი ხელისუფლებისგან სტუდენტებს, რომელთაც წვლილი ნამდვილად მიუძღვით ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნაში — პროცესებში თანამონაწილეობის გამო კი მათი პრეტენზიები და მოლოდინები, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. კითხვებზე პასუხის მისაღებად გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა“ მცირე გამოკითხვა ჩაატარა. როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდებისთვის ყველაზე პრიორიტეტული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის რეალური ავტონომიის მინიჭება, სწავლის საფასურის შემცირება და უმაღლესი სასწავლებლებისთვის სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაა. სტუდენტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან სტუდენტური დასაქმების ახალი პროგრამების ამოქმედებასაც ელიან, რისი საშუალებითაც ისინი არჩეული პროფესიების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებას შეძლებენ.

ნატო ოგოლაძე

ანა თოხაძე,
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

— ზოგადად მისასალმებელია, როდესაც საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიზანს სწავლების მაღალი ხარისხი წარმოადგენს. საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები კი სტუდენტების, პროფესორების, სკოლის მოსწავლეების და, ზოგადად, საზოგადოების შეხედულებათა გათვალისწინებით მიმდინარეობს. ეს, თავის მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას და ევროპული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. მიმაჩნია, რომ სწავლების ხარისხი მაღალი, თუმცა, ამავე დროს, მატერიალური კუთხითაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის აუცილებელია, რომ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში განახორციელონ. უნდა ამოქმედდეს სტაჟირების პროგრამები. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის სახსრებით შეუძლებელია და სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებს. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ხელისუფლებაზე ვერ იქნება დამოკიდებული. საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს.

მარიამ ბაქრაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი:

— რეფორმების იმედი მაქვს. სტუდენტების პრობლემებიდან გამომდინარე, საჭირო იქნება წიგნების თარგმნა, ასევე კარგი იქნება, თუ პრაქტიკულ სწავლებას უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება. ჩვენ, მაგალითად, სოციოლოგიაში ვსწავლობთ პრაქტიკის თეორიებს, თუ როგორ ჩავატაროთ კვლევა, მაგრამ რეალურად ეს არ განგვიხორციელებია. ამისათვის უნივერსიტეტს თავისუფლად შეუძლია გამოყოს თანხა. ჩვენს ფაკულტეტს კარგი ბიუჯეტი აქვს, უბრალოდ საჭიროა კარგი მენეჯმენტიც. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ წიგნების თარგმნას სოციოლოგიის დარგში და სტუდენტები ბაკალავრიატში სწავლის პერიოდიდანვე მიაჩვიონ მეცნიერულ მუშაობას.

სალომე ჩარკვიანი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი:

— თსუ-ში ბევრი რამ არის შესაცვლელი. მხედველობაში მაქვს ბოლონიის სისტემა. შეიძლება ამ სისტემაში ჩართვამ ბევრი ევროპული უნივერსიტეტისთვის გაამართლა, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან უმართავი სიტუაცია შექმნა. თსუ-ში ბევრი სტუდენტი სწავლობს და ადმინისტრაცია ვერ ახერხებს მათი სწავლის პროცესის სათანადოდ გაკონტროლებას. კორპუსების კეთილმოწყობის პრობლემაც მოსაგვარებელია და მიმაჩნია, რომ არ შეიძლება 20 კაციან აუდიტორიაში 100 კაციან ჯგუფს უტარდებოდეს ლექციები. გვაქვს ლიტერატურის პრობლემა. იმ მასალების მოპოვებაც ჭირს, რომლებიც თარგმნილია, რადგან პირველ კორპუსში ქსეროქსთან იმდენად დიდი რიგებია, რომ სასურველი მასალების ასლის გადასაღებად შეიძლება ერთი დღე დაგჭირდეს. სასწავლო პროგრამები სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით კარგი გვაქვს, თუმცა პრაქტიკის გავლა თითქმის შეუძლებელია.

ვფიქრობ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებული რეფორმა დაეხმარება უმაღლესი განათლების სისტემაში ვითარების გაუმჯობესებას, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც უნდა გააქტიურდეს სტუდენტებისთვის აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

მარიამ შარია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების II კურსის სტუდენტი:

— მინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტონომია დაუბრუნდეს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორი თავისი საქმიანობისას დამოუკიდებელი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს სასწავლებელში დასაქმებულ პედაგოგს აქვს შიში, რომ თუ სხვაგვარად მოიქცევა, თანამდებობას დაკარგავს, იგი ვერ გაზრდის თავისუფლად მოაზროვნე სტუდენტებს. ტენურის სისტემას, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, დადებითად ვაფასებ. მართალია, არის გარკვეული რისკები, თუმცა რისკის გარეშეც, ალბათ, არაფერი გამოვა. ასევე, მსურს, რომ უნივერსიტეტს დაუბრუნდეს კვლევითი ფუნქციაც. ცოდნა არა მხოლოდ უნდა გადაეცემოდეს, არამედ უნდა იწარმოებოდეს კიდეც სტუდენტებში. დიდი იმედით მოველი და ვფიქრობ, რომ ზემოთ ხსენებული ცვლილებები განხორციელდება. იმედი მაქვს, რომ სკოლებშიც სასიკეთო ცვლილებები იქნება, რადგან დღეს მხოლოდ საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნით თითქმის შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა. სასურველია, სკოლის ფუნქციაც გაძლიერდეს.

გაზეთის რედაქცია 85 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთადერთ ოფიციალურ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“, რომელიც, გაზეთის ყოფილ რედაქტორთა გადმოცემით, უნივერსიტეტის დამფუძნებლისა და აკადემიკოს აკაკი შანიძის დაარსებულია, 85 წელი შეუსრულდა. გაზეთში შემონახული მრავალმხრივი ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემატიანესაც გადმოგვცემს, რაც უნივერსიტეტის წარსულ სუნთქვას გვაგონებს. თავად გაზეთის მდიდარი შინაარსობრივი მხარე გვიმძაფრებს სურვილს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავი ყველა უნივერსიტეტელისთვის დასამახსოვრებელი საიუბილეო ღონისძიებით აღვნიშნოთ. სწორედ ამ მიზნით, შეიქმნა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც გაზაფხულზე საიუბილეო საღამოს მასშტაბურად წარმართვისთვის საქმიანობას უკვე შეუდგა.

ბრძანება

№164/01-01 10.12.2012

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა შემადგენლობის დამტკიცებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 15-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას 2012 წლის 29 ოქტომბრის №27945/02 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო ღონისძიების ორგანიზების მიზნით დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ალექსანდრე კვიტაშვილი – რექტორი, კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) დავით ჩომახიძე — ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კომიტეტის წევრი;

გ) ზურაბ გაიპარაშვილი — უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, კომიტეტის წევრი;

დ) ირმა რატიანი — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, კომიტეტის წევრი;

ე) იაგო კაჭკაჭიშვილი — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, კომიტეტის წევრი;

ვ) მერაბ კოკოჩაშვილი — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;

ზ) ნინო კაკულია — გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი, კომიტეტის წევრი;

თ) ელენა ხარაბაძე — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, კომიტეტის წევრი;

ი) მაია გურაბანიძე — მუზეუმის დირექტორი, კომიტეტის წევრი;

კ) მარიამ სეხნიაშვილი — საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კონსულტანტი, კომიტეტის წევრი;

ლ) ბიჭიკო ყურაშვილი — კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, კომიტეტის წევრი;

მ) თეკლა ჭამრულიძე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, კომიტეტის წევრი;

ნ) ალექსანდრა აროშვილი — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, კომიტეტის წევრი;

ო) მეგი საჯაია — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, კომიტეტის წევრი;

2. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანების შესასრულებლად გადაცემა დაინტერესებულ პირთათვის.

3. წინამდებარე ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;

4. წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცემისთანავე.

რექტორი
ალექსანდრე კვიტაშვილი

ПРОФИЛИ

საბჭოთა წარსულში „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტების“ ნათელი აწმყო და მომავალი

აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე ღიმილით ამბობს, რომ მისი ბიოგრაფია ძალიან ჰგავს მისივე თაობის ადამიანების ისტორიებს, რომელთაც ცხოვრება უმძიმეს პერიოდში მოუწიათ — მათმა უმეტესობამ ერთად გადაიტანა ომი, მშობლების გადასახლება, სიცივე, შიმშილი... თუმცა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბევრმა არა მარტო გაუძლო იმ აუტანელ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ გარემოს, არამედ თავიანთი სიტყვა თქვა ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ სპორტში და დიდი მემკვიდრეობაც დატოვა. არც ბატონი ოთარი ჩამორჩება მათ რიგებს და ამაში თავად მისი მდიდარი ბიოგრაფია დაგარწმუნებთ.

ოთარ ბაქანიძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; თსუ-ის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის გამგე (1976-2006); რუსისტიკის, სლავცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ინსტიტუტის დირექტორი (2005); უკრაინისტიკის ინსტიტუტის დირექტორი (2007 წლიდან დღემდე); აკადემიკოსი; საქართველოს ლიტერათურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტი; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; კლუბის „უკრაინა“ და ასოციაციის „საქართველო-უკრაინა“ პრეზიდენტი; უკრაინის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, პავლო ტიჩინას სახელობის უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; „ღირსების“ ორდენისა და უკრაინის სახელმწიფო სამი ორდენის კავალერი და სხვა.

ოთარ ბაქანიძე

შურთხია ბეროშვილი

— თქვენი თაობის წარმომადგენლები და ისინი, ვინც კარგად იცნობს თქვენს პიროვნულ ფაქტორებსა და ბიოგრაფიულ შტრიხებს, ყველასთვის დასამახსოვრებელ ადამიანად მოგიხსენიებენ. გადმოცემით ვიცით, რომ საინტერესო, ტრავმული წარსულიდან მოდიხართ, მაგრამ გადმოცემით თქვენს შესახებ საუბარს, სჯობს, უფრო კარგად გაგვაცნოთ თავი... მოგვიყევით იმის თაობაზე, რითაც სხვები გამოგარჩევენ – ეს კი უდავოა...

— ჩემი ბიოგრაფია განსაკუთრებული ნამდვილად არ არის — თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ჩემმა ოჯახმა მრავალი განსაცდელი და გაჭირვება გამოიარა. 1937 წელს 7 წლის ვიყავი, როდესაც მამა — აკაკი ბაქანიძე დააპატიმრეს და მეორე დღესვე დახვრიტეს. მას საკმაოდ კარგი თანამდებობა ეკავა — ქვემო სვანეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე იყო. მისი დაჭერის ამბავი ყველასთვის მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა. მამა საკმაოდ წარმატებული პარტიული მუშაკი და, ამასთან, ბერიასთან დაახლოებული პირი იყო. იგი იშვიათად ჩამოდიოდა სვანეთიდან. იმ საღამოსაც იმიტომ ჩამოვიდა, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დასწრებოდა. ჩვენ სიხარულით მივეგებეთ დიდი ხნის მონატრებულს. იმ დღეს ჩვენი სახლის წინ მანქანა გაჩერდა. მაშინ ქუჩაში მანქანის დამუხრუჭებისაც კი გვეშინოდა. დედა შეშფოთებული წამოხტა, მაგრამ მამამ დაამშვიდა: ნუ გეშინია, ჩვენ რაიმე საშიშროება არ გვემუქრება, რადგან პატიოსანი კაცი ვარ და არაფერი დამიშავებიაო. მაგრამ მწარედ შეცდა... დაიჭირეს და მთიულეთის აჯანყების მეთაურად შერაცხეს, ბიუროზე კი „ტროიკას“ გადასცეს. გასაოცარი იცით რა არის? ბიუროს დაწყების წინ ბერიამ დედას დაურეკა და უთხრა, სადილზე თქვენთან ვიკრიბებითო. რა თქმა უნდა, მან უკვე იცოდა, რომ მამას დაიჭერდნენ. ამ ამბის შემდეგ, ფაქტობრივად, ქუჩაში აღმოვჩნდით. საცხოვრებელს ხშირად ვიცვლიდით, საბოლოოდ ნაძალადევში გადავედით. შესაბამისად, სკოლებსაც ვიცვლიდით, რაც ჩვენს ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახებოდა. მიუხედავად ამისა, მოზრდილთა საღამოს სწავლების საშუალო სკოლა წარმატებით დავამთავრე, მხოლოდ ერთმა საგანმა შემიშალა ხელი, რომ ოქროს მედალი მიმეღო. 1947 წელს უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

— როგორი იყო უნივერსიტეტის წლები? თქვენი თაობა სამართლიანად ამაყობდა იმით, რომ მათ კორიფეები ასწავლიდნენ...

— ჩემი არჩევანი ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევაჩერე, ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით ვსწავლობდი. ეს ჩემს ცხოვრებაში მართლაც ზღაპრული დრო იყო. მაშინდელ უნივერსიტეტში საოცარი გარემო დამხვდა: დიადი, მიმზიდველი... ამ შთამბეჭდავ ტაძარს, შეუძლებელია, გავლენა არ მოეხდინა ადამიანზე არა მარტო თავისი მონუმენტურობით, არამედ იმ ატმოსფეროთი, რომელიც აქ სუფევდა. ჩემთან ერთად საკმაოდ ძლიერი და მოტივირებული თაობა სწავლობდა. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა, ისეთი პროფესურა გვყავდა.

საამაყო ბევრი რამ ნამდვილად გვქონდა: ლექციებს მეცნიერების ტიტანები გვიკითხავდნენ: ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე და სხვები, რომელი ერთი ჩამოვთვალო — ისინი ჩვენთვის ღვთაებრივი პიროვნებები იყვნენ. სტუდენტებთან მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა, დისტანცია მაინც არსებობდა, რადგან ჩვენ მათდამი მოკრძალების გრძნობა გვქონდა.

— ბატონო, ოთარ, ახალგაზრდობაში თეატრით ყოფილხართ გატაცებული, როგორი იყო თქვენი სამსახიობო კარიერა?

— ჩვენი თაობის უმეტესობა „პიონერთა სასახლეში“ დადიოდა, სადაც სხვადასხვა წრე ფუნქციონირებდა. რატომღაც თეატრალურ წრეში ჩავეწერე. მახსოვს, კონკურსს ცნობილი მსახიობი ნოდარ ჩხეიძე ატარებდა. მე აკაკი წერეთლის „განთიადი“ წავიკითხე — ასე მოვხვდი სცენაზე, სადაც ჩემი პარტნიორები იყვნენ რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, სოფიო გამრეკელი და სხვები. „რობინ ჰუდში“ „მეორე მეღორის“ როლი (სხვათაშორის, ერთერთი წამყვანი როლი) ვითამაშე, „პირველი მეღორე“ კი გურამ საღარაძე იყო. გრაფს რამაზ ჩხიკვაძე ასრულებდა, მას თავიდანვე წამყვანი როლები ჰქონდა. პიონერთა სასახლის დრამატული წრის წევრთა უმეტესობამ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, მე უნივერსიტეტი ვარჩიე, თუმცა, თეატრის სიყვარული ბოლომდე გამომყვა და აქ გავაგრძელე ჩემი თეატრალური კარიერა — ოთხი წელი ვიდექი უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე. III კურსზე რომ გადავედი, უნივერსიტეტში სწავლის პარალერულად თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

— როგორი იყო თქვენ დროს სტუდენტური ცხოვრება?

— ჩემი დროის ახალგაზრდობა მართლაც შინაარსიანად ატარებდა დროს. უნივერსიტეტში ამ მხრივ ყველანაირი ხელშეწყობა გვქონდა. ახალგაზრდა მწერლებისთვის ლიტერატურული წრე ფუნქციონირებდა და ლიტერატურული ჟურნალი „პირველი სხივი“ გამოდიოდა, რომელშიც ჩემი კრიტიკული პუბლიკაციებიც იბეჭდებოდა. ჟურნალ „ცისკარში“ მოთხრობებს ვაქვეყნებდი. გარდა ამისა, იყო სპორტული სექციებიც — ეს ყველაფერი ჩვენი მაშინდელი რექტორის, ნიკო კეცხოველის დამსახურება გახლდათ.

— ნიკო კეცხოველზე, როგორც რექტორზე, ლეგენდები დადიოდა, რადგან ბევრს ახსოვს მისი განსაკუთრებული ყურადღება იმ ყველაფრის მიმართ, რაც უნივერსიტეტს უკავშირდებოდა. სწორედ ასეთი პიროვნებების წყალობითაა, ალბათ, უნივერსიტეტისადმი ესოდენი მოწიწების გრძნობა რომ აქვს საზოგადოებას და მისი წარსულის იმიჯი რომ არის დღემდე აქტუალური...

— გეთანხმებით, ნიკო კეცხოველი მართლაც განსაკუთრებული რექტორი იყო. „ძია ნიკო“ ყველაზე ადრე მოდიოდა უნივერსიტეტში და შემოვლას ბაღიდან იწყებდა, მაშინ ეს იყო ბაღი – მუზეუმი, სადაც სხვადასხვა უნიკალური ჯიშის ხეები ხარობდა. სამწუხაროდ, დღეს მათი უმეტესობა აღარ არის. ბაღის მოსავლელად ბატონმა ნიკომ ჩინელი მებაღე დაიქირავა. ბაღის შემოვლას რომ მორჩებოდა, პირველ კორპუსში შემოდიოდა, ცხრის ნახევარზე უკვე კაბინეტში იყო და ზარის დარეკვას ელოდა, რათა დერეფანში გასულიყო და სტუდენტებისთვის ემზირა. ხშირად მას ძალიან მკაცრ რექტორად მოიხსენიებენ, თუმცა, მე მისი სიმკაცრე არასდროს მიგრძვნია.

— რადგან მის შესახებ პირადგრძნობაზე საუბრობთ, გამოდის, რომ ხშირი ურთიერთობა შეიძლება გქონოდათ მასთან...

— გეთანხმებით, ურთიერთობა, ფაქტობრივად, ყოველდღიური მქონდა მასთან. იგი თითქმის ყველა სტუდენტს იცნობდა და ზრუნავდა მათზე. გაზაფხულზე კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, ოლიმპიადები, ფესტივალები იმართებოდა... ბატონ ნიკოს განსაკუთრებით ქართული ჭიდაობა უყვარდა და როდესაც ტურნირი ტარდებოდა, მთავარი მსაჯის მოვალეობას თვითონ ასრულებდა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სტუდენტთა სამეცნიერო საუნივერსიტეტო კონფერენციებს, პლენარულ სხდომებსაც კი ბატონი ნიკო უძღვებოდა, შემაჯამებელი სხდომის თავმჯდომარეც თვითონ იყო. ყველას გულისყურით უსმენდა, შემდეგ ამ კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე გამარჯვებულ სტუდენტებს სხვადასხვაგვარად ასაჩუქრებდა. მათ თავის კაბინეტში შეკრებდა, ჯერ მადლობას გადაუხდიდა, შეაქებდა და შემდეგ დააჯილდოვებდა ხოლმე ზოგს სამეცნიერო მივლინებით, ზოგს — დასასვენებელი საგზურით და სხვა. ერთხელ მე და ჩემი მეგობრები: თენგიზ ბუაჩიძე, გიგა პაიჭაძე, რომან მიმინოშვილიც მოვხვდით დაჯილდოებულთა რიცხვში. ჩვენ სამეცნიერო მივლინება რუსეთში გვინდოდა და მან ეს სურვილი აგვისრულა.

სხვათაშორის, წარმატებები სპორტშიც მქონდა. ერთი ასეთი ჯილდო „ხულიგნობითაც“ მოვიპოვე. მე და სარგის ცაიშვილმა კრივში მივიღეთ მონაწილეობა. ქვემძიმე წონა არ ჰყავდათ და მე წამიყვანეს. სხვათა შორის, ეს რომ ჩემმა დეკანმა გაიგო, შემომითვალა, ეგ ხულიგანი თვალით არ დამენახოსო.

— მომავალში როგორ წარიმართა თქვენი სამეცნიერო საქმიანობა, ალბათ ასპირანტურაში გააგრძელეთ სწავლა?

— სამწუხაროდ, ასპირანტურაში მე, ალექსანდრე გვახარია, რეზი თვარაძე და კიდევ რამდენიმე სტუდენტი არ მიგვიღეს, როგორც „ტროცკისტების“ შვილები და „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტები“. მაშინ ასეთი წესი იყო, რომ კანდიდატურას ფაკულტეტის საბჭოზე კათედრა წარადგენდა, ფაკულტეტის საბჭო კანდიდატურის განხილვის შემდეგ საკითხს დიდ საბჭოს გადასცემდა, ბრძანებას კი რექტორი წერდა. როგორც აღმოჩნდა, სიაში ჩვენი გვარები წაშლილი იყო. რექტორის მოპირდაპირე მხარეს პატარა ოთახი იყო, სადაც КГБ-ს თანამშრომელი იჯდა, სწორედ მან გადაწყვიტა ჩვენი ბედი. ბატონი ნიკო გაბრაზდა და იყვირა - თავიდან დაწერეთ ბრძანებაო, მაგრამ მეორეჯერაც ვერ მოვხვდი სიაში. მაშინ ვუთხარი - ძია ნიკო, მადლობა, აღარ შეწუხდეთ, აღარ შემოვიტან განაცხადს-მეთქი. სასტიკად შეურაცხყოფილი ვიყავი, თავი გადადებული მქონდა ჩემი საქმისა და ქვეყნისთვის და ასე უპასუხეს ჩემს შემართებას. ბოლოს ბედმა მაინც გამიღიმა. რუსული ლიტერატურის კათედრაზე დასჭირდათ ადამიანი, რომელიც იმუშავებდა რუსულ-ქართული ურთიერთობის საკითხებზე და კათედრას ჩემი კანდიდატურა ურჩიეს. ბატონი ნიკოს რეკომენდაციით უფროს ლაბორანტად დავინიშნე. მოგვიანებით პარტიაშიც მიმიღეს — ამის შემდეგ გზა გამეხსნა, დისერტაციაც დავიცავი, სადოქტოროც და საკანდიდატოც.

— საქართველოში უკრაინისტიკის განვითარება თქვენს სახელს უკავშირდება. როდის დაიწყეთ ამ სფეროში საქმიანობა?

— თსუ-ში უკრაინული ლიტერატურის ისტორია 1940 წლიდან იკითხება. სხვათა შორის, უკრაინისტიკაში მოღვაწეობას არ ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საკანდიდატო შრომა „უსპენსკი და ქართული საზოგადოება“ იყო. უნივერსიტეტში იკითხებოდა უკრაინული ლიტერატურის ისტორია, რომელსაც ცნობილი მწერალი და მთარგმნელი მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი) კითხულობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მე და თენგიზ ბუაჩიძე ვკითხულობდით ამ დარგში ლექციებს, ასე „გადავბარგდი“ უკრაინისტიკაში.

1964 წელს პირველი გაცვლითი პროგრამა განხორციელდა კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის. იმ პერიოდში საქართველოში გაიმართა უკრაინული ლიტერატურის პირველი დეკადა, რომელშიც უნივერსიტეტიც აქტიურად იყო ჩართული. თსუ-ში სსრკ ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, სადაც ძირითადი მიმართულება უკრაინისტიკა იყო, მხოლოდ 70-იან წლებში შეიქმნა. მანამდე დაარსდა კლუბი „უკრაინა“ — ეს იყო შედეგი იმ ლიტერატურული დეკადებისა, რომელიც იმართებოდა საქართველოსა და უკრაინას შორის 1964-1969 წლებში. კლუბის ძირითადი მიზანი იყო უკრაინული ლიტერატურის შესწავლა და პროპაგანდა, თარგმნა და ამ სფეროში კადრების გაზრდა. უკრაინული კლუბის დაარსებიდანვე გაჩნდა იდეა ორენოვანი კრებულების გამოცემის, პირველი ორენოვანი კრებული 1971 წელს ლესია უკრაინკას 100 წლისთავს მიეძღვნა.

1975 წელს თსუ-ში უკვე კათედრის შექმნის საკითხიც დადგა. თავდაპირველად მას ერქვა ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, მაგრამ კათედრაზე, ძირითადად, უკრაინული ლიტერატურა იკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე ამ მიმართულებით თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა 37 მონოგრაფია, 29 ორენოვანი კრებული და 100-ზე მეტი წიგნი, რომელიც უნივერსიტეტის ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრამ და უკრაინისტიკის ინსტიტუტმა მოამზადეს.

— დღეს რა ვითარებაა ამ სფეროში? თუ გეძლევათ თვითრეალიზების საშუალება, როგორც სპეციალისტს და ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მიმდევარს?

— 90-იანი წლების შემდეგ, ფაქტობრივად, უკრაინისტიკის კათედრა გაუქმდა. 2000 წელს კათედრაზე 26 თანამშრომელზე მეტი ადამიანი მუშაობდა, მაგრამ პირველი შემცირების შემდეგ მათგან მხოლოდ 7 დარჩა, მეორე შემცირების დროს კი მხოლოდ მე დამტოვეს. სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა უკრაინისტიკის განვითარებას და მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის ხელშეწყობით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად, — დღეს ეს მდგომარეობა გაუმჯობესდა, ინსტიტუტში კვლავ გრძელდება სამეცნიერო საქმიანობა. ამჟამად უკრაინისტიკის ინსტიტუტი, რომელიც 2007 წელს შეიქმნა, კადრებს მხოლოდ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ამზადებს. აღსანიშნავია, რომ თსუ-ის უკრაინისტიკის ინსტიტუტს კიევის უნივერსიტეტთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს და, ამავე დროს, ეს ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისითაც საკმაოდ ნაყოფიერია. ამჟამად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტი სხვადასხვა საინტერესო პროექტზე მუშაობს — ამის მაგალითია ახლახან გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც უკრაინელი კლასიკოსის, ანდრეი მალიშკოს 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამ თარიღთან დაკავშირებით თსუ-ის უკრაინისტიკის ინსტიტუტმა და კლუბმა „უკრაინამ“ თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის მხარდაჭერით გამოსაცემად მოამზადეს ანდრეი მალიშკოს ნაწარმოებების ორენოვანი კრებული. წიგნის პრეზენტაცია საქართველოში უკრაინის ელჩის ვასილ ციბენკოსა და თსუ-ის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით უკრაინის საელჩოშიც გაიმართა.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივა, რომელმაც ქართულ-უკრაინული ლექსიკონის გამოცემა ითავა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს.

ბოლოს კი მინდა ვთქვა: სასიამოვნოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთერთი კერაა, რომელიც ამ ორი ხალხის ურთიერთობის განმტკიცებას უწყობს ხელს. ჩვენ მიერ დაწყებული პროპაგანდა ხშირად სიყვარულში გადადის. საუკუნოვანი მეგობრობის მანძილზე ამ ურთიერთობაში ბზარი არ გაჩენილა.

— ბატონო ოთარ, ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებაც გვიამბეთ

— ჩემი მეუღლე ნელი გოგიტიძე, უნივერსიტეტში გავიცანი. იგი რუსული ენის სპეციალისტია. ორი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი მყავს. ამ მხრივაც გამიმართლა - ბედნიერი მამა და ბაბუა ვარ.

დისკუსია დუმილის ნაცვლად

ნატო ოგოლაძე

ამირან ბერძენიშვილი

საუბრის თემა — საკითხები, რომლებიც საინტერესოა საზოგადოებისთვის, აქტუალური ქვეყნისთვის და მნიშვნელოვანი საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის. საუბრის მონაწილეები — ექსპერტები, გადაწყვეტილებების მიმღები პირები და სტუდენტები — უკვე ორი წელია „socium.ge“-ს სადისკუსიო კლუბში, აღნიშნულ ფორმატში, ყოველკვირეული შეხვედრები ეწყობა. კლუბი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ამირან ბერძენიშვილის ინიციატივით შეიქმნა. მიზანი სტუდენტებისთვის თავისუფალი სადისკუსიო სივრცის შექმნა, მათი მოსაზრებების დაფიქსირება, საწინააღმდეგო აზრის მოსმენის უნარის გამომუშავება, ახალგაზრდების საუნივერსიტეტო თუ, ზოგადად, საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხებით დაინტერესება გახლდათ. დღეისთვის აღნიშნული ფორმატის სადისკუსიო კლუბის ისტორია უკვე რამდენიმე ათეულ მოწვეულ სტუმარსა და ამდენივე პრობლემატური საკითხის განხილვას მოიცავს. მათ შორის: საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, თსუ-ის თვითმმართველობის არჩევნებს, ომბუცმენობის სახალხო კანდიდატებთან შეხვედრებს და ა.შ. სადისკუსიო კლუბი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობის 7 წელს ითვლის.

„სადისკუსიო კლუბს წინ უსწრებდა სამეცნიერო წრეები, რომლებიც ახლაც არსებობს, მაგრამ ეს წრეები იმდენად აქტიურად აღარ მუშაობენ მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიჭიერი და შედარებით თამამი ახალგაზრდებისთვის კარგი არეალი იყო. ადრე ისინი მსჯელობდნენ სამეცნიერო თემებზე, აკეთებდნენ მოხსენებებს და კამათობდნენ. დასაწყისში ჩვენ არ ვთვლიდით საჭიროდ, რომ ამ შეკრებებისთვის ,,სადისკუსიო კლუბი” დაგვერქვა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ველოდით, რომ ქვეყანაში სერიოზული დემოკრატიული ცვლილებები დაიწყებოდა. როდესაც მივხვდით, რომ ასე არ მოხდა — შეიზღუდა თავისუფალი მედია, რომელიც ფაქტობრივად იდეოლოგიზირებული გახდა, გაჩნდა საჭიროება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის, შექმნილიყო თავისუფალი სადისკუსიო არეალი. შედეგად დაფუძნდა სადისკუსიო კლუბი, სადაც მოდიოდნენ არა მხოლოდ ბაკალავრები, არამედ მაგისტრანტები, დოქტორანტები, ახალგაზრდა მასწავლებლები. მაშინაც ვიწვევდით ისეთ სტუმრებს, რომლებიც კრიტიკული აზროვნებით გამოირჩეოდნენ ან საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ. ამით ვცდილობდით გამოვხმაურებოდით მნიშვნელოვან მოვლენებს. ,,სადისკუსიო კლუბი” დღეისთვის არსებული ფორმატით უკვე თითქმის ორი წელია ფუნქციონირებს. ამ დროის განმავლობაში ვცდილობდით საზოგადოების წიაღიდან ის ადამიანი მოგვეწვია, რომელიც ინტელექტუალ პიროვნებად ითვლება და ობიექტურად მოაზროვნე გახლავთ“, — განაცხადა სადისკუსიო კლუბის დამფუძნებელმა, თსუ-ის პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა.

სადისკუსიო კლუბში თემისა და დისკუსიაში მონაწილე სტუმრის შერჩევაში გადამწყვეტი ხმა სტუდენტებს ეკუთვნით.

„სტუმრებისა და თემის შერჩევის კრიტერიუმი ძალიან მარტივია. სტუდენტები ირჩევენ მათთვის საინტერესო თემას და შემდეგ ვიწვევთ იმ სტუმარს, რომელიც აღნიშნულ საკითხში კომპეტენტურია, გარკვეული გამოცდილებაც აქვს და შესაძლოა სამეცნიერო კუთხითაც უმუშავია. სხვათაშორის, უნივერსიტეტში ბევრი ორგანიზაციაა, რომელიც საზოგადოებაში უფრო აქტიურად ჩანს, მაგალითად, „ლაბორატორია 1918“, „ნარინჯისფერები“... და ჩვენ ზოგჯერ გვისვამენ კითხვას, ორი წლის განმავლობაში თუ რას ვაკეთებდით. ვფიქრობ, სწორედ „სადისკუსიო კლუბმა“ შექმნა პრეცედენტი და აგრძნობინა სტუდენტებს, რომ შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირება. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თვითმმართველობაში 4 დამოუკიდებელი კანდიდატი გავიდა, რაც კლუბის მუშაობის ერთერთი დამსახურებაცაა“, — გვითხრა სადისკუსიო კლუბის ერთერთმა დამფუძნებელმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი გრიგოლაშვილმა.

„იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონდათ ჩვენ მიერ მოწვეული სტუმრები. „უნივერსიტეტის მტრები მოგყავთ ბატონო ამირან?“ — იყო ამგვარი კითხვებიც. ჩვენ ვფიქრობდით, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ! უმაღლეს სასწავლებელში, მით უმეტეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც სოციალური და პოლიტიკური თეორიები და იდეოლოგიები ისწავლება, არ შეიძლება ადამიანს თავისუფალ აზროვნებას უშლიდე! ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმას, რომ სტუდენტმა თავის პოლიტიკურ თუ კულტურულ შეხედულებებსა და ღირებულებებზე აუდიტორიაში ლექციაზე იკამათოს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოგვიყო 115-ე აუდიტორია, სადაც სადისკუსიო კლუბის შეხვედრები იმართება. რექტორის მრჩეველი, ქალბატონი მარინა ლომოური კი, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ხელს გვიწყობს“, — აღნიშნა ამირან ბერძენიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო პერიოდის განმავლობაში რამდენიმე სტუდენტური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მაგალითად, სადისკუსიო კლუბს სტუდენტების ნაწილი გამოეყო და „სოციოლოგთა კლუბი“ დაარსდა და ა.შ. სტუდენტების გააქტიურებას სადისკუსიო კლუბის დამფუძნებლები დადებითად აფასებენ და ფიქრობენ, რომ კონკურენცია მათი საქმიანობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს. ისინი ამ დროისთვის უკვე კლუბის განახლებულ ფორმატზე მუშაობენ.

„ცნობილი ადამიანების, გადაწყვეტილებების მიმღები პირების სადისკუსიო კლუბში მოწვევა განპირობებული იყო იმით, რომ გვინდოდა სტუდენტების მნიშვნელოვან მოვლენებში ჩართულობისთვის მაქსიმალურად შეგვეწყო ხელი. ახლა ვავიწროებთ ჩვენი საქმიანობის არეალს და უფრო მეტად აკადემიურს ვხდით. ოთხშაბათობით იმართება სამეცნიერო წრის შეხვედრები, რომელსაც ბატონი ამირანი ხელმძღვანელობს. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყოველი ოთხშაბათისთვის რომელიმე სტუდენტმა მოამზადოს გარკვეული თემა. მას ეყოლება ოპონენტი და თემის პრეზენტაციისა და ოპონირების შემდეგ გავმართავთ დისკუსიას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი შაბათს სადისკუსიო კლუბში მოწვეულ სტუმართან ერთად ვიმსჯელებთ. არ გვინდა ერთ ფორმატზე შეჩერება, გვინდა უფრო მეტად განვვითარდეთ“, — განაცხადა სადისკუსიო კლუბის დამფუძნებელმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მიხეილ გაბელიამ.

ახალი წლიდან სადისკუსიო კლუბის დამფუძნებლები აპლიკაციების სისტემის შემოღებასაც გეგმავენ. შესაბამისად შეხვედრებში მონაწილე სტუდენტებს კლუბის ასოცირებული წევრის სტატუსის მიღებაც შეეძლებათ. ასე რომ, „სოციუმ.გე“-ს სადისკუსიო კლუბი განახლებული ფორმატით მუშაობას მომდევნო სემესტრიდან განაგრძობს.

იურიდიულ ფაკულტეტზე

ჯგუფი — „საით მიდის გზა“ მსჯელობს...

ნატო ოგოლაძე

ყოველ ხუთშაბათს, 2 საათზე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები მსჯელობენ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია და გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება კრიმინალური დანაშაულის მიზეზიც გახდეს. შეხვედრებს ორგანიზებას სტუდენტური ჯგუფი „საით მიდის გზა“ უწევს. ჯგუფი ერთი წლის წინ დაფუძნდა. იდეა კი ახალგაზრდებს კრიმინოლოგიის ლექციაზე გაუჩნდათ. ჯგუფის შეხვედრები, ძირითადად, არაფორმალურ ხასიათს ატარებს. ახალგაზრდები, მეტწილად, თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში იკრიბებიან, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუნდაც უბრალო გამვლელს, რომ შეუერთდეს სტუდენტების დისკუსიას და საკუთარი აზრი დააფიქსიროს.

„კრიმინოლოგიის ლექცია, რომელსაც ბატონი მორის შალიკაშვილი გვიკითხავს, ყოველთვის იწვევდა სტუდენტთა აქტიურობას. 2 საათიან ფორმატში ვერ ვასწრებდით აზრთა გაცვლა-გამოცვლას, დისკუსიას, ამიტომ გაჩნდა იდეა, რომ შევკრებილიყავით ცალკე და სხვადასხვა თემები განგვეხილა. პირველი ასეთი შეკრება ერთი წლის წინ გვქონდა და პირველად ქალთა ემანსიპაციის საკითხზე ვიმსჯელეთ. მას შემდეგ საკმაოდ ბევრი თემა განვიხილეთ, მათ შორის არასრულწლოვანთა პრობლემები, გენდერული თანასწორობის საკითხი და ა.შ. შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია და ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია შემოგვიერთდეს. ვფიქრობ, ასეთი სახის შეხვედრები ხელს უწყობს დებატების კულტურის, კრიტიკული აზრის მოსმენის უნარის ჩამოყალიბებას. ხშირად ვნახულობთ ფილმებსაც, რომლებიც რაიმე აქტუალურ პრობლემას ეხმიანება. მაგალითად, ასეთი იყო „ნათლიმამა,“ — გვითხრა ჯგუფის „საით მიდის გზა“ ხელმძღვანელმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა თემურ შენგელაიამ.

6 დეკემბერს ჯგუფმა „საით მიდის გზა“ მორიგი შეხვედრა გამართა. დისკუსიის თემა, ამჯერად, „სოციალური სტატუსი“ გახლდათ. შეხვედრის დასაწყისში თემურ შენგელაიამ და იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა ნიკა სადრაძემ სოციალური სტატუსის შესახებ მოხსენება წარმოადგინეს.

„სოციალური სტატუსის განსაზღვრის შესახებ განვიხილეთ რამდენიმე თეორია. მე, ძირითადად, ვისაუბრე — როგორ აღიქმება საქართველოში სოციალური სტატუსი, რა ნიშნით აფასებენ ადამიანებს და რა კრიტერიუმებით ხდება სოციალური სტატუსის დადგენა. სოციალური სტატუსი განვიხილეთ პოლიტიკური იდეოლოგების ჭრილშიც — როგორ აღიქმებოდა სოციალური სტატუსი ფაშისტური, კომუნისტური იდეოლოგების დროს და როგორ აღიქმება კაპიტალიზმის ეპოქაში. ასევე, ვისაუბრეთ, თუ რა ბედი ელის სოციალური სტატუსის ცნებას მომავალში“, — აღნიშნა ნიკა სადრაძემ.

ჯგუფის „საით მიდის გზა“ შეხვედრებს მუდმივად ესწრება იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მორის შალიკაშვილიც. მისი აზრით, მსგავსი სახის თემატური განხილვები სტუდენტების როგორც პროფესიულ განვითარებას, ასევე, ზოგადი განათლების გაღრმავებასაც შეუწყობს ხელს.

„კარგია, როდესაც არსებობენ ახალგაზრდები, რომლებსაც სალექციო კურსის გარდა, დამატებით სურთ მიიღონ ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რაც საზოგადოებას აწუხებს. დანაშაული საზოგადოებრივი პრობლემებიდან გამომდინარეობს და ამ პრობლემების არ ცოდნა და არ დანახვა შეუძლებელია. ჩვენი შეხვედრების ძირითადი მიზანია, რომ გავარკვიოთ — კონკრეტულად რა პრობლემები აქვს საზოგადოებას და რა საფრთხეების წინაშე დგას იგი. გარდა ამისა, აქ სტუდენტები სწავლობენ სხვისი აზრის პატივისცემას, არგუმენტირებულ საუბარს. თუმცა, ჩვენ გვქონდა დებატები ისეთ თემებზეც, როდესაც იძულებულები გავხდით დისკუსია შეგვეწყვიტა. ასეთი იყო, მაგალითად, ჰომოსექსუალიზმი. შედეგად დავინახეთ, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად მსგავს საკითხებზე საჯაროდ სასაუბროდ“, — განაცხადა პროფესორმა მორის შალიკაშვილმა.

სტუდენტურ ჯგუფში „საით მიდის გზა“ დისკუსიებს პერმანენტულად, დაახლოებით, 40-მდე სტუდენტი ესწრება, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მათი კარი ყველა სტუდენტისა და დაინტერესებული პირისთვის ღიაა. ზამთრის პერიოდში ჯგუფის წევრები შეხვედრებს თსუ-ის II კორპუსში გამართავენ და ყოველ ხუთშაბათს, 2 საათზე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე დისკუსიას კვლავაც გააგრძელებენ. კონკრეტულად, თუ რა საკითხები იქნება მათი განხილვის საგანი, ჯგუფის — „საით მიდის გზა“ ხელმძღვანელები საუნივერსიტეტო საზოგადოებას სოციალური ქსელის მეშვეობით შეატყობინებენ.

ირანისტიკის მიმართულებაზე

სპარსული ენის შესწავლის ხიბლი

ნატო ოგოლაძე

ახალგაზრდების უმეტესობა სპეციალობის შერჩევისას, ძირითადად, ერთი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს — თუ რამდენად შეძლებს უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დასაქმებას. თსუ-ის ირანისტიკის პროფესორებისა და საქართველოში ირანის საელჩოს წარმომადგენლების განცხადებით, დღეს ქვეყანაში ერთერთი ყველაზე მოთხოვნადი კადრები სპარსული ენის სპეციალისტები არიან და ეს ვითარება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის მიმართულებაზეც აისახა.

„ირანისტიკაში ახლა რომ სამუშაო ბაზარია, აქამდე არ ყოფილა ქართული ირანისტიკის ისტორიაში. კადრები არ გვყოფნის, სტუდენტებს ვასაქმებთ და მათი დიდი ნაწილი უკვე მუშაობს. ახლაც დამირეკეს, რომ სპარსული ენის მცოდნე კადრი ესაჭიროებათ“, — აცხადებს თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების პროფესორი თეა შურღაია.

სპარსული ენის მცოდნე კადრებზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად ბოლო ორი წელია, სპარსული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი სტუდენტების რიცხვიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, გაიზარდა ირანის საელჩოს მიერ თსუ-ის ირანისტიკის მიმართულებისადმი გაწეული დახმარების მოცულობაც, რომლის მიზანი სტუდენტებისთვის ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებაში ხელშეწყობა გახლავთ. კულტურის საკითხებში საქართველოში ირანის ელჩის მრჩევლის (ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი) ეჰსან ხაზაის ინიციატივითა და დახმარებით თსუ-ის მეხუთე კორპუსში გარემონტდა №101 აუდიტორია და კეთილმოეწყო ირანისტიკის კაბინეტი (№112 აუდიტორია). ორივე ოთახი საჭირო ინვენტარითა და ტექნიკითაც აღიჭურვა. ირანის საელჩომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულებას გადასცა აუდიოდ-ვიდეო მასალები და ბიბლიოთეკა, რომლის შემადგენლობაშიც როგორც სპარსული ენის სასწავლო, ასევე, მხატვრული ლიტერატურაც შედის. ირანის საელჩოს მიერ გაწეული დახმარების შედეგად სტუდენტებს საშუალება აქვთ სპარსული ენა თანამედროვე პროგრამების საშუალებით შეისწავლონ, რაც გრამატიკის, ლექსიკის, წერის, კითხვის, მოსმენისა და საუბრის უნარჩვევების გაუმჯობესებას მოიცავს.

„მაგისტრატურის სტუდენტებს ვასწავლიდი საგანს „სპარსული პრესის ენას“. ლექციის დასაწყისი ზუსტად ემთხვეოდა ირანის არხებზე საინფორმაციო გამოშვების დაწყების დროს. მას შემდეგ, რაც ირანის საელჩომ ტექნიკა გადმოგვცა, სტუდენტებს შეუძლიათ, რომ პირდაპირ ეთერში სპარსულ ენაზე უყურონ ახალ ამბებს. მათი ამოცანა კი მოსმენილის გაგება და გადმოცემაა. შედარებით იშვიათად, მაგრამ სტუდენტებს სპარსულენოვან ფილმებსაც ვაჩვენებთ. მიმართულებაზე გვაქვს, ასევე, ირანელი პოეტების ლექსების ჩანაწერების საკმაოდ კარგი კოლექციაც“, — განაცხადა თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების პროფესორმა თეა შურღაიამ.

საქართველოში არსებული სოციალური ვითარების გათვალისწინებით ირანის საელჩო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებს ფინანსურადაც ეხმარება. 3 წლის წინ საელჩომ მათ ბაკალავრიატში სწავლის ერთი სემესტრის გადასახადი აუნაზღაურა და ამ დრომდე სასწავლო სახელმძღვანელოებითაც უზრუნველყოფს. საელჩოს მხარდაჭერით გამოიცა, ასევე, თსუ-ის პროფესორების მიერ შედგენილი სპარსული ენის ქრესტომათიის III ტომი. ამ დრომდე, პერიოდულად, სამ თვეში ერთხელ, გამოიცემა ჟურნალი „კალამიც“, რომელშიც სტუდენტების ნაშრომები, ახალი თარგმანები, ირანელი პოეტების ლექსები და ქართულ-ირანული ურთიერთობების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციები იბეჭდება.

„ჟურნალი „კალამი“ უკვე სამი წელია, რაც გამოდის და ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვრცელდება. ყველა სტუდენტს შეუძლია მიიტანოს მასალა და გამოაქვეყნოს. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ირანის საელჩოს დახმარებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერიოდულად ჩამოდიან ირანელი პროფესორები, რომლებიც როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პროფესორებისთვის ლექციებს ატარებენ. ამჟამად 2 წლით

- „ირანისტიკა, ძირითადად, სპარსული პოეზიის სიყვარულით ავირჩიე. როდესაც, გარკვეულწილად, სპარსულ ენას დავეუფლე, დავიწყე სპარსული ლექსების ბნკარედული თარგმანების შესრულება. გარდა ამისა, გამიმართლა და ირანში უკვე ორჯერ ვიყავი. ერთხელ ექსკურსიაზე და მეორედ, 1 თვის განმავლობაში, ენის სასწავლო კურსებზე. ამ ყველაფერმა დიდი გამოცდილება შემძინა. ირანს ჩემს თვალში ხიბლი არ დაუკარგავს, პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა მის მიმართ ინტერესი. იქ ყოფნისას ვცდილობდი — ჩემი ქვეყანა ისე წარმომეჩინა, როგორც ამას საქართველო იმსახურებდა“, — გვითხრა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის მიმართულების III კურსის სტუდენტმა **მალხაზ არჩვაძემ**.

- „როდესაც ჩემს ძირითად სპეციალობად ავირჩიე სპარსული ენა და ლიტერატურა და სწავლის საფასური გადავიხადე, ქართულ რეალობაში საოცრება მოხდა. დამირეკეს და მითხრეს, რომ შემეძლო თანხა უკან დამებრუნებინა, რადგან სწავლის ერთი სემესტრის საფასურს საქართველოში ირანის საელჩო მინაზღაურებდა. ეს ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, ძალიან დიდი შეღავათია. მეორე კურსის დასრულების შემდეგ ირანში ექსკურსიაზე მოვხვდი, მოვინახულეთ თავრიზი, ისპაჰანი, თეირანი... დავათვალიერეთ მუზეუმები და სასახლეები, 10 დღის განმავლობაში აღნიშნულ ქალაქებში ყველა საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილი ვნახეთ. წელს თსუ-დან 8 სტუდენტი ერთი თვით წასულნი ვიყავით ენის კურსებზე, სადაც ჩვენს გარდა კიდევ 20 ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდები იყვნენ. ამ კურსის გავლისას ჩვენ ცოდნა გავიღრმავეთსპარსულ ლიტერატურაში, გრამატიკაში, ისტორიაში. კურსი მორგებული იყო იმაზე, რომ სტუდენტს მაქსიმალურად ბევრი ესწავლა ამ ერთი თვის განმავლობაში“, — აღნიშნა ირანისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა **მერაბ მელაძემ**.

არის ჩამოსული თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი მოჰსენ ჰოსეინი. ბატონი ჰოსეინი რეგულარულად ატარებს ლექციებს თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების ყველა ჯგუფთან“, — აღნიშნა თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა ლილი ჟორჟოლიანმა.

საქართველოსა და ირანს შორის საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობას საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. 1996 წელს ირანში სტუდენტთა პირველი ჯგუფი წავიდა სტაჟირებაზე. ამ დრომდე, ყოველ წელიწადს, თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტების ნაწილი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ირანის უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის ასამაღლებლად სასწავლო კურსებს გადის. ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თეირანის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მოქმედებს, რომლის ფარგლებშიც თეირანის უმაღლეს სასწავლებელს ყოველწლიურად რამდენიმე სტუდენტი სტუმრობს. სტუდენტები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ისპაჰანში, შირაზში და ყაზვინშიც დადიან. სპარსული ენის სწავლის კურსები უცხოელი ახალგაზრდებისთვის მაპინძელ უნივერსიტეტში წელიწადში ორჯერ იხსნება და იქ სწავლისა და ცხოვრების ხარჯებს მთლიანად ირანის მხარე ანაზღაურებს. სპარსული კულტურისა და ლიტერატურის უკეთ გაცნობის მიზნით, ასევე საელჩოს ორგანიზებით, თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ყოველ წელს თეირანის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზეც მიემგზავრებიან, სადაც საჩუქრად გადაცემული ვაუჩერების საშუალებით მათთვის სასურველი წიგნების შეძენაც შეუძლიათ და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებაც.

* * *

ირანის საელჩოს მხრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულების მიმართ გაწეული დახმარების რიცხვი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც საქართველოში ირანის საელჩოს კულტურული განყოფილება ამოქმედდა, რომელსაც ბატონი ეჰსან ხაზაი ხელმძღვანელობს.

„მინდა, სიამოვნებით გაცნობოთ, რომ ადრე თუ ირანისტიკის მიმართულებაზე თითზე ჩამოსათვლელი სტუდენტი სწავლობდა, ახლა ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მათ სწავლისას დახმარება გავუწიოთ და ეს დახმარება მომავალშიც გაგრძელდება“, — განაცხადა საქართველოში ირანის ელჩის მრჩეველმა კულტურის საკითხებში ეჰსან ხაზაიმ.

საქართველოში ირანის საელჩოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა მხოლოდ საგანმანათლებლო სფეროთი არ შემოიფარგლება. საელჩო თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებისათვის მთელ რიგ ღონისძიებებს უწევს ორგანიზებას, რომლის მიზანიც ახალგაზრდებისათვის სპარსული კულტურის უკეთ გაცნობა გახლავთ. მაგალითად, თბილისში სპეციალურად მათთვის და ირანისტიკით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ირანიდან თეატრალური დასი ჩამოიყვანეს. თსუ-ის ირანისტიკის მიმართულებაზე, ასევე, ხშირად იმართება სპარსული პოეზიის საღამოები და ყოველ წელს ნავროზობის აღსანიშნავად ღონისძიებებიც ტარდება.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორთა ვიზიტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით დეკემბრის დასაწყისში საქართველოს რომის საპიენცას უნივერსიტეტის (Sapienza - Universita di Roma) დელეგაცია ესტუმრა პროფესორების: ატილო კელანტის (Attilo Celant) და პიერლუიჯი ტესტას (Pierluigi Testa) შემადგენლობით.

თბილისში იტალიელი პროფესორების ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებდა, რაც ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ისახავდა მიზნად. სტუმრებს შეხვედრები ჰქონდათ როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ისე სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

პროფესორების განსაკუთრებული დაინტერესების საგანს ტურიზმის სფერო და უნივერსიტეტში ტურიზმის სწავლების საკითხები წარმოადგენდა. ამ მიზნით ისინი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ესტუმრნენ, სადაც მათ ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ და ტურიზმის მიმართულების პროფესორებმა უმასპინძლეს. მათ დაინტერესებული სტუდენტებისთვის წაიკითხეს საჯარო ლექცია ტურიზმის თემაზე; ისაუბრეს იტალიისა და საქართველოს ტურიზმის განვითარების პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

რომის საპიენცას უნივერსიტეტი ევროპის ერთერთ უძველეს და, ამავე დროს, უდიდესი უნივერსიტეტების რიცხვს მიეკუთვნება. იგი დაარსდა 1303 წლის 20 აპრილს რომის პაპის მიერ და ჩამოყალიბდა, როგორც საერო უნივერსიტეტი. სიტყვა „La Sapienza“ იტალიურად „სიბრძნეს“ ნიშნავს. დღეისათვის უნივერსიტეტი 21 ფაკულტეტს, 200-მდე საბაკალავრო და 120-მდე სამაგისტრო პროგრამას აერთიანებს და მასში განათლებას 140 ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლება.

სტუდენტური პრაქტიკისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტრატეგია

თანამედროვე საბაზრო კონკურენციის პირობებში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალური გარანტი მათი პროფესიონალიზმი, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ერთობლიობაა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლებას, არამედ მათ მიერ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას, პრაქტიკების და სტაჟირების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ამ მიზნით 2012 წლის პირველ ნახევარში თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს საბანკო სექტორებთან. საქართველოს 11 უმსხვილესი ბანკი დათანხმდა თანამშრომლობას, რამაც პრაქტიკული შედეგები გამოიღო. საქართველოს ბანკი, TBC ბანკი, რესპუბლიკა ბანკი, პრივატ ბანკი, ბაზისბანკი, პროკრედიტ ბანკი და სხვა საფინანსო ინსტიტუტები ხშირად აწყობენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრებსა და პრაქტიკულ სემინარებს; ტესტირებისა და გასაუბრების მეთოდით ირჩევენ სტუდენტებს და იწვევენ ბანკში პრაქტიკის თუ სტაჟირების გასავლელად, მრავალ მათგანს სთავაზობენ დასაქმებას და უფორმებენ ხელშეკრულებებს.

ამ პოზიტიური გამოცდილების მიღების შემდეგ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გააფართოოს პარტნიორ, დამსაქმებელ ორგანიზაციათა რიცხვი. იგი უახლოეს მომავალში გეგმავს თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმოს სამრეწველო და სავაჭრო კომპანიებთან, საკონსულტაციო და აუდიტორულ ფირმებთან.

მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტთა პირისპირ შეხვედრის ორგანიზება. ამ მხრივ აღსანიშნავია კომპანია „Mindstream“, რომელმაც შემოგვთავაზა დასაქმების ფორუმის ორგანიზება მომავალი წლის დასაწყისში. ამას წინ უძღოდა სტუდენტთა ტრენინგები, რაც დამსაქმებლის წინაშე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენის მიზანს ემსახურებოდა. სემინარებზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: კარიერის დაგეგმვა, პერსონალური ინფორმაციისა (CV) და სამოტივაციო წერილის შედგენის წესები, ინტერვიუ, მოლაპარაკების წარმართვა და კორპორატიული კულტურა.

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სტაბილურად ინარჩუნებს მოწინავე ადგილს საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელების მიღების სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით. ფაკულტეტის უმთავრესი ამოცანაა — არავის დაუთმოს პირველობა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესაბამისადაც.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური

ცოდნა უნდა არა მხოლოდ ფულის შოვნას, არამედ მის ისტორიასაც

თამარ დადიანი



იცოდით, რომ ინგლისში ხის ჯოხებს ფასიან ქაღალდებად იყენებდნენ? რატომ ეგონათ მარკო პოლო მატყუარა? იცოდით, რომ დამწერლობა საბუღალტრო აღრიცხვისთვის გამოიგონეს? სად დაიბეჭდა პირველი ქაღალდის ფული? — ამ კითხვებზე პასუხები შეგეძლოთ მოგესმინათ 29 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტის (ISET) უფროსმა მკვლევარმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველმა და ინტელექტუალური შოუს — „რა? სად? როდის?" მსოფლიო ჩემპიონმა გიორგი ბაქრაძემ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ფული და საბანკო საქმე: მესოპოტამიიდან დღემდე".

„ეს თემა იმიტომ შევარჩიეთ, რომ ეკონომიკა, ზოგჯერ, ზედმეტად სერიოზული და მოსაწყენია. ამიტომ ვეცდებით იგი საინტერესოდ და სახალისოდ გადმოგცეთ. ლექცია ფრაგმენტული, ქრონოლოგიური მიმოხილვა იქნება ფულის ისტორიისა. მიუხედავად ამისა, მე მაინც გარკვეულ წარმოდგენას შევუქმნი დაინტერესებულ პირებს — თუ რა ხდებოდა პირველყოფილ მსოფლიოში, როდესაც ადამიანმა პირველად დაიწყო ფულის გამოყენება და სავაჭრო ურთიერთობებში შესვლა, " — აღნიშნა გიორგი ბაქრაძემ.

ფულს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. როგორც გიორგი ბაქრაძემ აღნიშნა: „პირველყოფილ საზოგადოებაში ფული არ არსებობდა. არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანი ამ დროს ბარტერს იყენებდა: ვიღაცა თევზს იჭერდა, ვიღაცას ხორბალი მოჰყავდა და რომ ისინი შემდეგ ამას ერთმანეთში ცვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში, როგორც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, ეს ასე არ იყო. ბარტერული გაცვლა საკმაოდ იშვიათად ხდებოდა და მას მხოლოდ უცხოტომელები იყენებდნენ. მაგალითად, თუ უცხოტომელი კომლში საკვების შესაძენად მოდიოდა, ის იძულებული იყო ტომისთვის რაღაც სამაგიერო მიეცა. გაცვლის საფუძველი მათი განსხვავებული სახმარი ღირებულებანი იყო.

როგორც წესი, ეკონომიკა პირველყოფილ საზოგადოებაში დამოკიდებული იყო საჩუქრის და ვალის აღებ-მიცემობაზე. საჩუქარი თავისი ღირებულებით განსაზღვრავდა სტატუსს — რაც უფრო სასარგებლო და ღირებულ საჩუქარს ჩუქნიდი, მით უფრო მაღალი იყო სტატუსიც. ნელ-ნელა საზოგადოება განვითარდა და საჩუქარი ვალის აღებამ ჩაანაცვლა. ვალის აღებ-მიცემამ მინი სახელმწიფოების შექმნა გამოიწვია. თემს გაუჩნდა ბელადი, რომელსაც მცირე ჯარი ჰყავდა. ჯარს დაფინანსება და შენახვა სჭირდებოდა. პირველყოფილ ადამიანებს კი ფული არ ჰქონდათ. ისინი ნატურალურ მეურნეობას მისდევდნენ, მაგრამ რადგან ის სეზონური იყო, ამიტომ გადასახადების გადახდა უჭირდათ. ასე მივიდა ხალხი ვალის ცნებამდე. ანუ გლეხი იღებდა ვალდებულებას — ვალი მოგვიანებით გადაეხადა. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ პირველი სახელმწიფოები არ დაარსდა ძველ მესოპოტამიაში. სწორედ აქ შეიქმნა ვალის და კრედიტის პირველი სისტემა. საგადასახადო სისტემაც ამ დროიდან იღებს სათავეს. გადასახადები სხვადასხვა ხასიათის იყო, ადამიანის ფანტაზიას კი საზღვარი არ ჰქონდა მათ მოფიქრებაში. მაგალითად, საფრანგეთში გადასახადები ფანჯრების რაოდენობის მიხედვით იყო დაწესებული. ამ პერიოდიდან იწყება სასაქონლო ფულის გამოყენება არა როგორც მონეტების სახით, არამედ როგორც ვერცხლის ნატეხებისა, რომლებიც რთული აღსარიცხავი იყო.

ლურსმნული დამწერლობა, პირველ რიგში, მხოლოდ იმისთვის გამოიგონეს, რომ ვალი აღეწერათ. პირველი ლურსმნული დამწერლობის ნიმუშები ძველი თიხის აგურებზეა ნაპოვნი.

ძვ. წ. აღ. 3 000 წლის წინათ ბაბილონში საბანკო საქმის წარმოება დაიწყო. აქ იყო ბევრი სასახლე და ტაძარი, რომლებსაც კარგი საცავები ჰქონდათ, სადაც პრაქტიკულად ყველამ დაიწყო ძვირფასი ნივთების შენახვა. ნელ-ნელა ტაძრებმა ბანკების ფუნქცია შეიძინეს. მართალია, მათ პრიმიტიული სესხების გაცემა შეეძლოთ, მაგრამ მაინც.

პირველი მონეტა მოიჭრა ძვ. წ. აღრიცხვამდე VII საუკუნეში მცირე აზიის ქვეყანაში - ლიდიაში და შემდგომ გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ქვეყანაში. დაახლოებით 500 წელს კი, ჩვენს ერამდე, სპარსეთის მეფე დარიოსმა მოახდინა ,,ეკონომიკური რევოლუცია" თავის სახელმწიფოში, შემოიღო რა მონეტები ოფიციალურ გაცვლის ერთეულად და ამით ბარტერი ჩაანაცვლა. მონეტები სწრაფად გავრცელდა მეზობელ, ბარბაროსულ ტომებში, მოგვიანებით კი – უფრო შორსა და შორს. იმ დროისთვის მონეტების ბეჭდვის სახსრები და შესაძლებლობები მხოლოდ მდიდარ მიწათმფლობელებსა და მონასტრებს ჰქონდათ. თავიდან მონეტები მხოლოდ ოქროსი, ვერცხლის ან მათი შენადნობის იყო, მაგრამ მალე ძვირფასი ლითონების სიმცირემ განაპირობა მათი გამოჭედვა სპილენძისა და ბრინჯაოსაგან. ძვირფასი ლითონებისაგან განსხვავებით მათ არ გააჩნდათ ,,შინაგანი" ფასეულობა. მონეტებზე დატანილი იყო ღირებულების აღმნიშვნელი შესაბამისი ნიშნები. ყოველი ეპოქა გარკვეულ ნაკვალევს ტოვებდა მონეტების გამოსახულებაზე. უძველეს მონეტებზე შეამჩნევდით მხოლოდ უბრალო ჩაღრმავებებს. ჩვენს ერამდე V საუკუნიდან კი მონეტებზე ნომინალის აღმნიშვნელი ციფრები და ასოები გამოჩნდა (ასოებით იმ ქალაქების ინიციალებს გამოსახავდნენ, სადაც ისინი კეთდებოდა). დარიოსმა კი, პირველად ისტორიაში, ოქროს მონეტებზე თავისი სახე გამოაჭედინა. ამის შემდეგ მონეტებზე დიდებულების, გმირების სახეებს, ისტორიული მოვლენების ამსახველ ფაქტებს სახავდნენ.

მანამდე ბევრგან იყო მცდელობა ფულადი ერთეულის სტანდარტიზაციისა, მაგალითად, ჩინეთში ფულად ერთეულად ნიჟარები გამოიყენებოდა. მისი უკანასკნელი გამოყენების ფაქტები 20-ე საუკუნის შუა წლებშიც გვხვდება აფრიკაში, უგანდაში.

პირველი ქაღალდის ფულის პროტოტიპი კი ჩინეთში შეიქმნა ჯერ კიდევ IX საუკუნის დასაწყისში. დიდი მნიშვნელოვანი საქმეები დიდ თანხებს მოითხოვდა, ამიტომ იმპერატორმა მაღალი ხარისხის ქაღალდი დააბეჭდინა, რომელზეც დატანილი ნიშნები 10 000 სპილენძის მონეტის მაგივრობას სწევდა. ბანკნოტების მასიურად ბეჭდვა 1024 წელს დაიწყო, რაც ომის მიზეზით გაზრდილი სახელმწიფო ხარჯების გაზრდამ გამოიწვია. ამას მონეტები ვერ უზრუნველყოფდნენ მათი სიმცირისა და ძნელად ტრანსპორტირებადობის გამო. ხალხი ამ ფულის გამოყენებას რომ შეჩვეოდა, ყუბლაი ყაენმა ერთი პერიოდის მანძილზე მთლიანად აკრძალა ლითონის ფულის მოხმარება. ქაღალდის ფული ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იყო ლითონის მარაგით, მაგრამ, როდესაც მარაგი ამოიწურა, ფულს საერთოდ ყოველგვარი გარანტიების გარეშე უშვებდნენ, რამაც ქაღალდის ფულის საშინელი გაუფასურება გამოიწვია. ქაღალდის ბანკნოტების შესახებ არაერთი მოგზაური გვინახავს ცნობებს, მაგალითად – მარკო პოლო, იბნ-ბატუტა და სხვები. ჩინეთში ხალხი სავაჭროდ ოქროს და ვერცხლის ფულს აღარ იყენებდა. ქაღალდის ბანკნოტებზე დასმული იყო იმპერატორის ბეჭდის ნიშანი. ჩინგიზხანის მმართველობა ამ კუპიურებს თავისუფლად ცვლიდა ოქროზე.

ევროპაში ბანკნოტები შედარებით გვიან გამოჩნდა. 1661 წელს სტოკჰოლმის, კერძო, საემისიო ბანკმა პირველი ოფიციალური ბანკნოტები დაბეჭდა ევროპაში. ამ დრომდე ევროპელები იყენებდნენ ვექსილს — ეს არის მოკლე ან გრძელვადიანი ხელშეკრულება ორ მხარეს შორის, რომელიც მის (ვექსილის) გამცემს ავალდებულებს დათქმულ დროს წინასწარ შეთანხმებული თანხის გადახდას.

1945 წელს მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისიდან გამოსასვლელად და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისთვის სტიმულის მისაცემად, ბრეტონ-ვუდსში შეიქმნა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელმაც საერთაშორისო სავაჭრო და საგადასახადო სისტემაში ამერიკული დოლარის „გაბატონება" გამოიწვია. ამ სისტემაში 1914 წლამდე ინგლისურ სტერლინგს ლიდერის პოზიცია ეკავა.

1971 წლამდე ბანკნოტების მფლობელებს უფლება ჰქონდათ, საბაზრო ფასის შესაბამისად, ქაღალდის ფული ნებისმიერ დროს გადაეცვალათ ოქროზე. ამ დროს ბანკს საცავში იმდენი ოქრო უნდა ჰქონოდა, რა ღირებულების კუპიურებიც ჰქონდა მას ემისირებული. 1971 წელს კი, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკნოტებმა ეს უფლება დაკარგეს. თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ ეს პროცესი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განახორციელა. იქედან მოყოლებული დღემდე ქაღალდის ფული არც ერთ ლითონზე არაა მიბმული და თავისუფლად ცურავს მსოფლიო სავალუტო სისტემაში", — აღნიშნა გიორგი ბაქრაძემ.

მან თავის ლექციაში ასევე საინტერესოდ, ქრონოლოგიურად მიმოიხილა პირველი საკრედიტო ინსტრუმენტების, საბანკო საქმის განვითარების ისტორია და თანამედროვეობა. თუ რა მნიშვნელოვანი სახეცვლილებები განიცადა ფულმა ათასწლეულების განმავლობაში და, რა თქმა უნდა, მისი დღევანდელი სახეც, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება პირველი ფულის პროტოტიპისგან.

ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში

ფინანსთა მინისტრის პრაქტიკული თეორია

ნატო ოგოლაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, თსუ-ის სრულმა პროფესორმა ნოდარ ხადურმა ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში მოსწავლეებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. ნოდარ ხადური მოზარდებს საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარების – პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ ესაუბრა. ლექციაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მოსწავლეებს გააცნო — თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ფინანსური განვითარებისთვის იმპორტის გაზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნის შიდა პროდუქტის გაზრდას, ხარისხის კონტროლის სამსახურის ჩამოყალიბება-ამოქმედებას და ხარისხიანი პროდუქციის მიღებისათვის კონკურენციას. ნოდარ ხადურმა ინვესტორების მოზიდვის პროცესში ხელისუფლების სანდო რეპუტაციის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

„ახალგაზრდებს ვესაუბრე საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ცოტა თეორიაც შევაპარე იმისთვის, რომ ეკონომიკით დაინტერესებისა და მისი მნიშვნელობის საჭიროება მაქსიმალურად ეგრძნოთ. ვისაუბრე იმაზეც, რომ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მხრივ. დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მძიმე მდგომარეობა, რადგან საქართველოდან გატანილი საქონლის რაოდენობა 3-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე შემოტანილი. შედეგად ჩვენი საგარეო ვალი 11 მილიარდი დოლარია, რაც თითქმის მთელი შიდა პროდუქტის ტოლია. აქედან სახელმწიფოს ვალი 4,5 მილიარდი დოლარია, ჩვენი წლიური ბიუჯეტი კი, სულ, 5 მილიარდი დოლარი. არსებული სიტუაციიდან ერთერთი გამოსავალი ინვესტორების მოზიდვაა, რისთვისაც, მთავარია, მათ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობა გაუჩნდეთ. საქართველოში ეკონომიკური ვითარების გასაუმჯობესებლად ჩვენ შეგვიძლია გერმანიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაც გამოვიყენოთ, რომლებმაც რამდენიმე წელიწადში შეძლეს ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება", — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ნოდარ ხადურმა მოსწავლეებთან ისაუბრა საქართველოს შრომის კოდექსზეც. მისი თქმით, კანონმდებლობით შრომითი საქმიანობის სწორად დარეგულირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მინისტრის ინფორმაციით, ხელისუფლება დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს შრომით კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას გეგმავს.

ლექციის დასრულების შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა.

„ორი კითხვა დავუსვი ბატონ ნოდარ ხადურს. ორივე კითხვაზე ამომწურავი პასუხი მივიღე. ლექცია საკმაოდ საინტერესო იყო. ყველა ჩვენგანმა მაკროეკონომიკასთან დაკავშირებით ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღეთ. ვგეგმავ, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარო", — გვითხრა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-12-ე კლასის მოსწავლემ გიგა ჩიტიშვილმა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა თსუ-ის ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში საჯარო ლექცია 1 დეკემბერს გამართა.

წიგნის თარო

მსოფლიო ლიტერატურის ბესტსელერები ქართულ ენაზე ითარგმნა

გავრცელებული მოსაზრებებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მონოლინგვურია. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ხელმიუწვდომელია ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობისთვის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება და საერთაშორისო ბესტსელერის სტატუსიც აქვს მოპოვებული. ამ პრობლემის მოსაგვარებლად და „ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების ბიბლიოთეკის“ გასამდიდრებლად 2012 წლის თებერვალში საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამი“ დაფუძნდა.

ნატო ოგოლაძე

ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი მიზანი ბოლო წლებში გამოცემული და მსოფლიოში აღიარებული წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა, გამოცემა, ქართველი მკითხველის გააქტიურება და საერთაშორისო დისკუსიაში ჩართვა გახლავთ. დაფუძნებიდან დღემდე არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამმა“ უკვე 5 მსოფლიო ბესტსელერი თარგმნა, ესენია: ქეთრინ შულცის „როცა ცდები – თავგადასავალი შეცდომის ზღვარზე“, ჯონათან უოტსის „ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში“, ჯოზეფ სტიგლიცის „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, უილიამ ანთოლიზის და სტროუბ ტალბოტის „სწრაფად წინ“ და ტონი ჯადის „უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამი“ არამომგებიანი ორგანიზაციაა და მისი მთავარი მიზანი გამოცემული ლიტერატურის მკითხველამდე მიტანაა. შესაბამისად, ყველა ის წიგნი, რომელიც ორგანიზაციამ გამოსცა, უფასოდ გადაეცა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს და რეგიონულ რესურს-ცენტრებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ „რადარამის“ გამოცემული წიგნების დისტრიბუცია წიგნის მაღაზიებში უფასოდ ხორციელდება და მაღაზიები თითოეულ ეგზემპლარს თავის მოგებას მხოლოდ 2 ლარს ადებენ, რაც ახალ ლიტერატურას საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის. ახალი გამოცემული წიგნები საქართველოს რეგიონებშიც ვრცელდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამის“ გამოცემული წიგნების წაკითხვის შედეგად ქართველ მკითხველს შესაძლებლობა აქვს — ფეხი აუწყოს და დროულად გაეცნოს მნიშვნელოვან მსოფლიო ლიტერატურის სიახლეებს.

„ჩვენს ორგანიზაციაში ფუნქციონირებს საერთაშორისო საბჭო, რომელიც სათარგმნი წიგნების შერჩევაში გვეხმარება. თარგმნის ხარისხი ჩვენთვის პრიორიტეტულია. თითოეული წიგნისთვის ვცდილობთ შევარჩიოთ თარჯიმანი, რომელიც ინგლისური ენის ცოდნასთან ერთად, წიგნის თემაშიც კარგად ერკვევა. გარდა ამისა, ჩვენთან თანამშრომლობენ რედაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ, რედაქტირების გარდა, თარგმანში შინაარსობრივი ცვლილებებიც შეიტანონ. შედეგად მაღალ ხარისხს მივაღწიეთ. რაც შეეხება ტირაჟს, თითოეულ წიგნს, დაახლოებით, 3000-3500 ცალამდე ვბეჭდავთ. შესაბამისად, ამ მხრივ პრობლემა მკითხველს არ ექმნება“, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამის“ თანადირექტორმა, თსუ-ის მოწვეულმა ლექტორმა მერი გაბაშვილმა.

ქართველი მკითხველის გააქტიურების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციაში „რადარამი“ სპეციალური sms-სისტემაც მუშაობს. მოქალაქე, რომელიც ორგანიზაციის გამოცემულ წიგნს შეიძენს და მასში ჩამალულ კოდს მითითებულ ნომერზე გაგზავნის, სისტემაში მკითხველის სტატუსით დაფიქსირდება და ყოველი ახალი გამოცემული წიგნის შესახებ ინფორმაციას მიიღებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამი“ მსოფლიო ბესტსელერების თარგმნასა და გამოცემას დონორი ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველყოფს. ორგანიზაციის ადმინისტრაციამ დახმარებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასაც მიმართა. თსუ-სა და „რადარამს“ შორის მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორგანიზაციას წიგნების დაბეჭდვაში დახმარებას გაუწევს, სანაცვლოდ კი „რადარამი“ თსუ-ის ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი წიგნების რაოდენობას გაზრდის.

საით მიდის ქარავანი?

თსუ-ის „საკვირაო ლიტერატურულ კლუბში“ რეზო (უმცროსი) თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმის — „საით მიდის ქარავანის“ ჩვენება-განხილვა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ თავად რეზო თაბუკაშვილი და მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი. ფილმში ლაშა თაბუკაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, გიო მგელაძე და ვაჟა გიგაშვილი მონაწილეობენ. თითოეული მათგანი მონოლოგის სახით გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებს. მწერლები საუბრობენ ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: გლობალიზაცია, კონფორმიზმი, თაობებს შორის გაუცხოება, ღირებულების გადაფასება წარსულის დაკარგვის გზით, მენტალური დეგრადაცია, თავისუფლება და სხვა. ფილმში წამოჭრილმა პრობლემებმა კლუბის წევრებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეხვედრა კითხვა–პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და 2 საათი გაგრძელდა. სტუდენტებს საშუალება მიეცათ ღიად და თავისუფლად გამოეთქვათ საკუთარი აზრები. მსჯელობის დროს გამოიკვეთა — თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია ნიგნიერებას გლობალიზაციის ეპოქაში, ასევე, თუ როგორი აუცილებელია ადამიანისთვის წარსულის ცოდნა და გააზრება, რადგან სწორედ ამის საფუძველზე ხდება ჯანსაღი და პერსპექტიული მომავლის შექმნა.

ლაშა თაბუკაშვილს ფილმში მაგალითად მოჰყავს მამის — რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ნამუშევარი „ორაგულის ბედი“, რომელშიც ასახულია ორაგულთა ცხოვრების წესი. ეს თევზები ქვირითის დაყრისთანავე იღუპებიან, თუმცა მათი ზრუნვა მომავალ თაობაზე სიკვდილით არ სრულდება. ახლად გამოჩეკილი ლიფსიტები სანამ თვითონ შეძლებენ საკვების მოპოვებას, წინა თაობის სხეულის ნარჩენებით იკვებებიან — ამით მწერალი პარალელს ავლებს ადამიანების ბედთან და დასძენს, რომ წარსულის გარეშე მომავალი ვერ იარსებებს, ადამიანი ცოდოა წარსულის გარეშე. თუმცა, ანა კორძაია-სამადაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ წარსულით ცხოვრებაც არ შეიძლება, საჭიროა ბალანსის დაცვა, რასაც დიდი გამოცდილება სჭირდება.

შეხვედრაზე ქალბატონმა ანამ მოუთხრო სტუდენტებს საინტერესო ისტორიები ძველი თბილისის რეალობიდან.

„დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თსუ-ის სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ თანამედროვე ქართველი მწერლებისა და მათი შემოქმედებისადმი, განსაკუთრებით ისეთი ავტორების მიმართ, როგორებიც ანა კორძაია-სამადაშვილი და რეზო თაბუკაშვილია. მადლობა მათ თსუ-ის „საკვირაო ლიტერატურულ კლუბში" სტუმრობისა და საინტერესო დისკუსიისთვის“, — აღნიშნა კლუბის ხელმძღვანელმა დავით მაზიაშვილმა.

შეხვედრის დასასრულ მწერალი ანა კორძაია–სამადაშვილი კლუბის წევრებს დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში იგი კიდევ ესტუმრება მათ და მოაწყობს თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციას. სტუდენტები მოუთმენლად ელიან შემდეგ შეხვედრას.

ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საკვირაო ლიტერატურულ კლუბში" 23 დეკემბერს კლუბის ხელმძღვანელის დავით მაზიაშვილის ინიციატივით გაიმართა.

ნინო ბერიაშვილი,
მანანა ბოკუჩავა,
ანა ნადარეიშვილი,
ნია გუგუნავა

მურმან ჯინორიამ გენეტიკური მახსოვრობა გააცოცხლა

თამარ დადიანი

მსახიობმა მურმან ჯინორიამ თსუ-ის სააქტო დარბაზში მართლაც რომ პოეზიის ცეცხლი დაანთო. სცენაზე თითქოს ხორცშესხმული პოეზია იდგა, რომელსაც მონუსხული ჰყავდა სტუდენტებით გადაჭედილი დარბაზი. ირგვლივ მხოლოდ ქართული სიტყვის მადლი ასხივებდა, რომელიც აღტაცების ცრემლებად კიაფობდა ახალგაზრდების თვალებში. დიდი ხელოვანის ოსტატობით ტკბობამ და ქართველი მწერლების ენაზე ლაპარაკმა დადებითი ემოციით დამუხტა თითოეული მსმენელი და სასიამოვნო განწყობაზე დააყენა.

„ქარი მწყურია მე პირდაპირი" — ასე უწოდა ხელოვანმა საკუთარ ნამუშევარს, რომელიც მონოსპექტაკლია და მთლიანად მურმან ჯინორიას გემოვნებით არის გაკეთებული.

პოეზიით შთაგონებული და გაჯერებული სპექტაკლი პირველად რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გათამაშდა. მონოსპექტაკლის ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი და მთავარი როლის შემსრულებელიც თავად მურმან ჯინორიაა.

„ქარი მწყურია მე პირდაპირი" ერთმოქმედებიანი მონოსპექტაკლია, რომელიც ავტორის მიერ ოთხ პირობით ნაწილად - წელიწადის ოთხ დროდ არის დაყოფილი. თითოეული სეზონი მსახიობისთვის სხვადასხვა ხასიათისა და სტილის ავტორების შემოქმედებასთან ასოცირდება. გაზაფხული მურმან ჯინორიასთვის ტერენტი გრანელია; ზაფხული — გურამ რჩეულიშვილი; შემოდგომა ერთდროულად მოიცავს რამდენიმე შემოქმედის — ტატო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას; ზამთარი კი მსახიობისთვის სპექტაკლის კულმინაციაა და იგი გალაკტიონთან არის ასოცირებული. სპექტაკლის სახელწოდებაც

სოფო ჩიტაძე

მისივე შემოქმედებიდანაა აღებული. მურმან ჯინორიამ გალაკტიონის პოეზიიდან საუკეთესო ლექსების ტაეპებიც შეკრიბა და ერთ დიდ ლექსად ჩამოაყალიბა.

6 დეკემბერს გამართული მონოსპექტაკლი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა, რომელიც ორგანიზებული იყო თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ. როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სოფო ჩიტაძემ აღნიშნა, სპექტაკლი სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე გაიმართა.

„ეს რიგით მესამე საქველმოქმედო ღონისძიებაა, რომლითაც სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ვეხმარებით. სტუდენტური თვითმმართველობის სახელით, მინდა, ვუთხრა თითოეულ სტუდენტს, რომ მომავალშიც მაქსიმალურად გავითვალისწინებთ მათ სურვილებს და მრავალ საინტერესო ღონისძიებას გავმართავთ“, – აღნიშნა მან.

სპექტაკლის ბოლოს მსახიობმა მურმან ჯინორიამ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს და აღნიშნა: „სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებს პოეზია და მწერლობა უყვართ. ქართულ პოეზიაში ინახება გენეტიკური მახსოვრობა, რომლითაც ერთმანეთს ვუახლოვდებით. სიტყვა არა მარტო ისმინება, არამედ პოეზიის საშუალებით მისი ვიზუალურად დანახვაც შეიძლება. დღეს მივხვდი, რომ ახალგაზრდებს ამის უნარი შესწევთ, რაც ჩემთვის მეტად სასიამოვნოა“.



უნივერსიტეტში

„დაჭერილი“ კადრი

თამარ დადიანი

10 დეკემბერს სტუდენტური ფოტოკონკურსის — „UNIკადრი“ საუკეთესო ფოტოების გამოფენა გაიხსნა. კონკურსის ორგანიზატორებმა საგამოფენო დარბაზში გამოფინეს გასულ საუკუნეში გადაღებული და დღევანდელობის ამსახველი ფოტოები, სტუდენტების ფოტოობიექტივში მოხვედრილი უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები.

ფოტოკონკურსი უნივერსიტეტში ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ფოტოგრაფები: მინდია მიდელაშვილი, ანა გოგუაძე და უნივერსიტეტის წარმომადგენელი ნინო ქუთათელაძე, სამ ნომინაციაში გამარჯვებული გამოავლინა. მათი გადაწყვეტილებით საპრიზო თანხა 600 ლარი 3 გამარჯვებულზე თანაბრად გადანაწილდა. უნივერსიტეტის საუკეთესო პორტრეტის ავტორი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ გრიშაშვილი გახდა, შენობის ფასადის საუკეთესო ფოტოკადრის ავტორი კი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ერეკლე ქადაგიძე, ხოლო სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრისთვის ჯილდო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი კობახიძემ დაიმსახურა.

კონკურსის ერთერთი გამარჯვებული გიორგი კობახიძე ფოტოხელოვნებით ბავშვობიდან ყოფილა დაინტერესებული და ახლაც ხელში სულ ფოტოაპარატი უჭირავს. მართალია, მისთვის ფოტოების გადაღება ჯერჯერობით მხოლოდ გატაცებაა, მაგრამ ფიქრობს — მომავალში ამ საქმეს უფრო სერიოზულად, შემოქმედებითად მიუდგეს და მის მიერ ფოტოობიექტით დანახული სამყარო სხვებისთვისაც საინტერესო გახადოს.

„UNIკადრი“ პირველი ფოტოკონკურსი იყო, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო. გამარჯვების შემდეგ კი ცდილობს ფოტოხელოვნებით უფრო სერიოზულად დაინტერესდეს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონკურსებში. გიორგი ცდილობს თავისი სათქმელი კალმითაც გამოხატოს. ბავშვობიდან წერს ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს. ამ მიმართულებითაც ფიქრობს, რომ წარმატებას მიაღწევს და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურულ კონკურსში — „თავისუფალი ვარდნა“ გაიმარჯვებს.

„რასაც ვაკეთებ, აზრიანად ვაკეთებ, ყველაფერში იდეას ვეძებ და ვცდილობ — ორიგინალურად, საინტერესოდ გადმოვცე ჩემი სათქმელი. ყველაფერი მაინტერესებს, ყველაფერს ვუღრმავდები... საბოლოოდ, ალბათ, შემოქმედებით ადამიანად ჩამოვყალიბდები და ვეცდები, რასაც გავაკეთებ ნაყოფიერი და ღირებული იყოს.

ფოტოკონკურსის შესახებ როცა გავიგე, მაშინვე გადავწყვიტე მასში მონაწილეობა. მინდოდა „დამეჭირა“ კადრი, რომელიც მართლა, რეალურად ასახავდა სტუდენტურ ცხოვრებას. როგორც ჩანს, მცდელობა კარგად გამომივიდა და გავიმარჯვე. ბავშვობიდან ვპაპარაცობდი, ყველას გულს ვუწყალებდი ჩემი ზედმეტი „ყურადღებით“. თუ სადმე თეფში გატყდებოდა, იმასაც კი ვიღებდი... და აი, გამიმართლა: ჩემი ფოტოთი დაინტერესდნენ და გავიმარჯვე კიდეც. მინდა, მადლობა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს“, — თქვა გიორგიმ ჩვენთან საუბარში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კონკურსი წარმატებული გამოდგა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტისთვის მარიამ გრიშაშვილისთვისაც. იგი თავს მოყვარულ ფოტოგრაფად თვლის, ფოტოგრაფია მისი ჰობია. რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, საკუთარი ფოტო აპარატიც კი არ აქვს და ამ სფეროთი დაინტერესებაც არ ყოფილა მისი ინიციატივა. ამისკენ მას თურმე მეგობარმა ნუცა ნადირაშვილმა უბიძგა და „პროფესიული“ საიდუმლოებებიც სწორედ მან ასწავლა. სწორედ ნუცამ „აიძულა“ მარიამი „UNIკადრში“ თავისი ფოტო გაეგზავნა.

„ფოტოკონკურსში გამარჯვება ჩემთვის პირველი ნაბიჯებია ფოტოგრაფიაში, რადგან ეს საქმიანობა სულ ცოტა ხნის წინ დავიწყე. გამარჯვებამ დიდი სტიმული მომცა, ახლა უკვე უფრო მეტი მოტივაცია მაქვს ჩემს გატაცებას ბევრი დრო დავუთმო. ფოტოობიექტივი რეალური სამყაროს უკეთ შეცნობის საშუალებას გვაძლევს, ადამიანში საოცარ ემოციებსა და განწყობებს იწვევს... ფოტო აპარატით დანახული წამი შეიძლება საუკუნეებს გადაწვდეს და წარსულიც დაგვიბრუნოს“, — აღნიშნა ახალი ამპლუით გატაცებულმა მარიამმა.

ერეკლე ქადაგიძის ფოტო

კონკურსანტთა დაჯილდოებისას თავისი რჩეული გამოავლინა ელექტრონული წიგნების პორტალმა lit.ge. პორტალის წარმომადგენელმა ნათია ლურსმანაშვილმა საუკეთესო ფოტოსთვის „იოტა-რიდერი“ (ელექტრონული წიგნების წამკითხველი) გადასცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს ნინი მათიაშვილს, ხოლო გამარჯვებულ სამეულს კი ვაუჩერები.

მარიამ გრიშაშვილის ფოტო

ნინი მათიაშვილის ფოტო

გიორგი კობახიძის ფოტო

უჩვეულო მოგზაურობა და თავგადასავლები თსუ-ს შესახებ

შემეცნებით-სათავგადასავლო სტუდენტურმა პროექტმა „სექტორი -12“ სტარტი 5 ნოემბრიდან აიღო. 30 ნოემბერს კი დასკვნითი ტური გაიმართა, სადაც ერთმანეთს 20 ნახევარფინალისტი შეეჯიბრა. 10 დეკემბერს ფინალური ტური გაიმართა.

პროექტის მიზანი გახლდათ — სტუდენტებს სათავგადასავლო ტურის მეშვეობით უკეთ გაეცნოთ უნივერსიტეტის დაარსების ისტორია და თსუ-ში მოღვაწე დიდი მეცნიერები.

შემეცნებითი პროექტი გულისხმობდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაყოფას პირობით 12 სექტორად. თითოეულ სექტორში განთავსებული იყო სპეციალური კოდი, რომელსაც კონკურსანტები მინიშნებების ამოხსნის გზით პოულობდნენ. კოდების მოწოდების შემდეგ თითოეულმა მონაწილემ კონკურსის სიმბოლო მიიღო. 12 სიმბოლოს მფლობელი ფინალში ერთმანეთს ინტელექტუალურ თამაშში შეეჯიბრა.

ორგანიზატორებმა თითოეულ მონაწილეს დაშიფრული გზავნილი გადასცეს, რომელიც უნივერსიტეტის ლოგოს ავტორის დიმიტრი შევარდნაძის სახელს უკავშირდებოდა. მონაწილეებს 12 ამოცანის ამოხსნა ევალებოდათ, სწორი პასუხის ავტორს კი დარჩენილი სიმბოლოების პოვნა უნდა გაეგრძელებინა. საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის ლოგოს შემადგენელი 24 ცხოველის შეგროვებით და ლოგოს შექმნით პროექტის გამარჯვება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თენგიზ სულთანიშვილმა მოიპოვა. გამარჯვებულ კონკურსანტს ფულადი პრემია 1000 ლარი გადაეცა, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს სერტიფიკატები.

„ერთი თვის განმავლობაში ვიყავი ჩართული სექტორის პროექტში. ასეთ საინტერესო თავგადასავალში მონაწილეობა არასოდეს მიმიღია, ყოველდღიურად აღმოვაჩენდით ახალს უნივერსიტეტის შესახებ და მოხარული ვარ, რომ ასეთი საინტერესო ფორმით დავეუფლე უნივერსიტეტის ისტორიას“, — აღნიშნა კონკურსის გამარჯვებულმა.

„პროექტი „12 სექტორი“ საინტერესო, სახალისო და შემეცნებითი ხასიათისაა. ეს არის ცოდნის მიღების, ისტორიის გაცნობის ორიგინალური გზა, რომლის უშუალო მონაწილე და გამზიარებელი ხდები. ეს ის შემთხვევაა, როცა სწავლა სახალისო, აზარტული და სასიამოვნოა“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა ანი ხუფენიამ.

„პროექტის იდეა მოგვეწონა. დიდი ინტერესით გავეცანით კონკურსის წესებსა და პირობებს და „თავით“ გადავეშვით იმ უჩვეულო მოგზაურობაში, რომელიც თსუ-ის პირველი კორპუსისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის უკეთ გაცნობის საშუალებას მოგვცემდა“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა ნინო ჩიქოვანმა.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **სოსო გამგებელი**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, მარიამ გერსამია, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ᵃ
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62